სპორტი

სპორტული გაზეთი შაბათი 8 ივლისი 2006 №155 (2777) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდანის საფრანგეთი თუ ახალი იტალია

ALLEZ LA FRANCE **FORZA ITALIA**

ფინალი დიდების ზღაპარია: ვისურვოთ ჯადოსნური თამაში

ხვალ მსოფლიოს ჩემპიონატი მთავრდება.

უფრო ოპტიმისტურად რომ ვთქვათ, ხვალ ფინალია. იშვიათი იერის ფინალია: თამაშობენ მეზობლები, ერთმანეთის კარგი ნაცნობები, ერთმანეთის ნაცნობი ფეხბურთელები.

შინაარსი ძალიან ევროპულია, თამაშიც ძალიან ევროპული იქნება. წარმოდგენაში რომ შევაჯახოთ ერთმანეთს იტალიელებისა და ფრანგების თითო საუკეთესო თამაშიამ ჩემპიონატზე, ფინალი ზღაპრული იერის უნდა გამოვიდეს.

მაგრამ ფინალში ასე არ ხდება ხოლმე.

ბოლო ხუთ ფინალში ერთი სიდიადე იყო და ის მაშინ ყველასთვის მოულოდნელად შექმნა ზინედინ ზიდანმა. ზიდანი ახლაც ფინალშია — თავისი კარიერის ბოლო თამაშზე გადის. მასთანაა სხვა ათასობ-ში გამოვლილი ხალხიც. აქეთ კი ახალი იტალია, რომელმაც თავისი ძველებური საუცხოოდ იცის და გული ახლებურისკენ მიუწევს.

როგორი თამაში იქნება ხვალ? ფინალი იქნება. თავის ნერვებით, სიფრთხილეებით, სიგიჟით. ჩვენ კი გვინდა, რომ ჯადოსნური ფეხბურთიც იყოს.



ორშაბათი მართლა მძიმე დღეა: ცხოვრება ისევ ჩვეულებრივი გახდება

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

PARA BELLUM

ამბობენ, საერთო სურათი ფრაგმენტებისგან და დეტალებისგან შედგებაო. ფეხბურთის მატჩიც ასე უნდა იყოს. ხვალ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალია, იტალია საფრანგეთს ხვდება და თუ ზემოთქმული თეორია მართალია, ეს ფრანგულ-იტალიური საფეხბურთო ამბავიც ნაწილების გაერთიანება გამოდის, სააგენტო „რეიტერი“ კი ხსენებული ნაწილების თავისებურ ვერსიას გვთავაზობს და ჩვენც მისი თარგმნა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ. კერძოდ, რეიტერისეულ ვერსიაში გამოყოფილია ფეხბურთელთა ის წყვილები, რომლებიც ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“, სავარაუდოდ, ერთმანეთთან დაპირისპირებით გადაწყვეტენ მატჩის და, შესაბამისად, მსოფლიო თასის ბედს.

პირლო VS ვიეირა

ნახევარფინალიდან გეხსომებათ, როგორ იგრძნო ანდრეა პირლომ სიტუაცია, როგორ გაუჭრა მახვილგონივრული პასი მოხერხებულ პოზიციაში მყოფ ფაბიო გროსოს, როგორ გახლიჩა ამ პასით გერმანიის ნაკრების დაცვა და სწორედ ამ გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

ის, ჩვეულებრივ, ნახევარდაცვის სიღრმეშია ჩაძირული და იქიდან ასხივებს გრძელ თუ მოკლე პასებს, რომელთა ზურგსუკან არ-გატარება იქნება კიდეც პატრიკ ვიეირას ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი.

„იუვენტუსში“ საკმაოდ ჩვეულებრივ სეზონის შემდეგ ვიეირა ძველებურ ფორმას იბრუნებს და, სავარაუდოდ, პირლოს პასების ჩაჭრის შემდეგ თავისი შეტევების წამოწყებაც კი შეეძლება.

რიბერი VS გროსო

გეცოდინებათ, რიბერიმ, მსოფლიოს ჩემპიონატი ისე დაიწყო, რომ სამფეროვანთა სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გემო ერთხელაც არ გაესინჯა. ახლა, როგორც ხედავთ, ის ძირითადის წევრია, რომელზეც ყველა ამბობს: „ცხადია, იქნება“. რაც ყველაზე საინტერესოა, მან ეს ადგილი საკმაოდ ძველმოდური განაპირა ნახევარმცველობით მოიპოვა. ეს ჰავბეკის ის ტიპია, რომელსაც უხარია, ბურთი ფეხში რომ აქვს, რადგან ფინტი ეხერხება, თავის წინ მდგომ მცველს ატყუებს და საჯარიმოში აწვდის.

და რა ხდება ამ დროს იტალიელთა მარცხენა ფლანგზე? ნახევარდაცვაში სიმონე პეროტაა, რომელსაც, ბუნებრივია, თავისი წილი შემტევი ფუნქციაც ექნება და ამიტომ რიბერის მუდმივად შეჩერების გარანტიას თანაგუნდელებს ვერ მისცემს. გამოდის, რომ მის უკან მდგომმა ფაბიო გროსომ უნდა გამოიბას ათი ყური და ათი თვალი.

ძამბროტა VS აბიდალი

ძამბროტა ამ ჩემპიონატზე მარჯვენა მცველად ითვლება, მაგრამ ერთია, რად ითვლება და მეორეა, რას აკეთებს — ის ყოველ შეხვედრაში იმდენს უტევს, რომ თავისუფლად შეიძლება, თავდამსხმელად თუ არა, ჰავბეკად მაინც მოვიხსენიოთ.

ძამბროტა უშრეტი ენერგიის მქონე ადამიანია, რაც საშუალებას აძლევს, დაუსრულებლად შეუტიოს და როდესაც ფლანგზე გემრიელად გაიჭრება, მეტად სახიფათოდ აწვდის კიდეც საჯარიმოში ბურთს.

რა კონტრარგუმენტი აქვთ სამფეროვნებს? ალბათ, ის, რომ მალუდამ თავისი შეტევებით არ მოაცლევინოს ძამბროტას შეტევებისთვის და მეორე, რა თქმა უნდა, მცველი ერიკ აბიდალი.

კანავარო VS ანრი

აი, მუნდიალის ფინალის საკადრისი წყვილი: უდიდესი მცველი და კაპიტანი უდიდესი თავდამსხმელის წინააღმდეგ. ამ დუელში ორივე ვარსკვლავი თავის დახვეწილ და სრულყოფილ ოსტატობას მიმართავს, რათა გაიმარჯვოს.

ამ ჩემპიონატზე კანავარო შეუდარებელია. ის ორგანიზაციას უწევს იტალიელთა მთელ დაცვას და „სკუადრა აძურას“ ეს ხაზიც იმდენად ძლიერია, რომ აქამდე ჩატარებულ ექვს შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა, ისიც საკუთარი მცველისგან მოულოდნელად აჭრილი ბურთი იყო.

კანავარო ინტელექტუალი მცველია, ის თამაშს კითხულობს და... მეასე სანაკრებო მატჩს ატარებს! აი, ასეთ საიუბილეო და უდიდეს შეხვედრაში ეწვევა კიდეც „ზონაში“ სტუმრად ტიერი ანრი, რომლის სისწრაფის, ტექნიკის, დარტყმის და ბრძოლისუნარიანობის აღწერა მეტისმეტად შორს წაგვიყვანდა.



ზიდანი VS გატუზო

ზინედინ ზიდანი, შესაძლოა, კარიერის ზღაპრულ დასასრულზე ოცნებობს, მაგრამ მის ზღაპარს მხეცი ეღობება წინ — ეს არის დახვეწილი შემოქმედისა და თავგადაკლული ჩამშლელის დაპირისპირება, რომელმაც შეიძლება მატჩის ბედი სხვა დანარჩენ ფაქტორებზე მეტადაც გადაწყვიტოს.

ზიდანი ამ ჩემპიონატის ყოველ მომდევნო შეხვედრას წინაზე უკეთ ატარებს და მოედანს სიგრძე-სიგანეზე მეფური სიდიადით აკონტროლებს.

ამიტომაც არის გატუზოსთვის მშვენიერი სამიზნე — რა, რა და, გატუზოს ორთაბრძოლა ნამდვილად არ ეშლება. ესეც არ იყოს, ის დაუღალავია და ეჭვი არ არის, ზიდანი მის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს.

სისწრაფე? არა, ამ კომპონენტში ფრანგი იტალიელს, ალბათ, ვერ აჯობებს და, სავარაუდოდ, თავისი ულევი ტრიუკებით ეცდება მის თავიდან მოშორებას.

ტოტი VS მაკელელე

შინაარსით იგივე დაპირისპირებაა, რაც ზიდანისა და გატუზოსი. მაკელელეს ამოცანა ლუკა ტონის ზურგსუკან მოტრიალე ფრანჩესკო ტოტის ჯადოს „გამოლოცვა“ იქნება.

მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა ფინალი

1934	იტალია	იტალია 2:1 ჩეხოსლოვაკია
1938	საფრანგეთი	იტალია 4:2 უნგრეთი
1950	ბრაზილია	ურუგვაი 2:1 ბრაზილია
1954	შვეიცარია	გფრ 3:2 უნგრეთი
1958	შვედეთი	ბრაზილია 5:2 შვედეთი
1962	ჩილე	ბრაზილია 3:1 ჩეხოსლოვაკია
1966	ინგლისი	ინგლისი 4:2დ.დ. (2:2) გფრ
1970	მექსიკა	ბრაზილია 4:1 იტალია
1974	გფრ	გფრ 2:1 ჰოლანდია
1978	არგენტინა	არგენტინა 3:1დ.დ. (1:1) ჰოლანდია
1982	ესპანეთი	იტალია 3:1 გფრ
1986	მექსიკა	არგენტინა 3:2 გფრ
1990	იტალია	გფრ 1:0 არგენტინა
1994	აშშ	ბრაზილია 0:0 (პენ.3:2) იტალია
1998	საფრანგეთი	საფრანგეთი 3:0 ბრაზილია
2002	კორეა-იაპონია	ბრაზილია 2:0 გერმანია

1986 წელი, მექსიკა. არგენტინა — გფრ 3:2.
ხორხე ვალდანოს გოლი ტონი შუმახერის კარში



საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე!
ჯეოსელისა

და ღაი-ღაის
აბონენტთათვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში
სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის კიმნები.

ყველა, ვინც კი
კარის გოლს ეძებს
ეთანხმება
ჯეოსელის

FIFA WORLD CUP
GERMANY
2006

© 2002 FIFA TM

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ხვალ. 22.00. ფინალი. ბერლინი. ოლიმპიაშტადიონი

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

სავარაუდო შემადგენლობა

1. ჯანლუიჯი ბუფონი
28.01.78; 190 სმ, 83 კგ; 66 თამაში

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მეკარეა — 2001 წელს „იუვენტუსმა" სარეკორდო 45,9 მილიონ დოლარად შეიძინა „პარმასგან", სადაც 16 წლისა უკვე მთავარი გუნდის კარს იცავდა. ამ ჩემპიონატზე ერთი გოლი გაუშვა და ბევრჯერ იხსნა გუნდი.



19. ჯანლუკა ძამბროტა
19.02.77; 181 სმ, 76 კგ; 57 თამაში, 2 გოლი

მარჯვენა მცველად აღზრდილს ფრთა „იუვენტუსში" თამაშისას ნაკრების დღევანდელმა თავკაცმა მარჩელო ლიპიმ შეაცვლევინა. დღეს მარცხნივ პაოლო მალდინის ღირსეულ შემცვლელად მიიჩნევენ. უნივერსალია.



5. ფაბიო კანავარო
13.09.73; 175 სმ, 72 კგ; 99 თამაში, 1 გოლი

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შემდეგ მუდმივად ნაკრებშია. გამორჩეულად კარგად თამაშობს მუნდიალებსა და ევროპის ჩემპიონატებზე. ტანმორჩილია, რასაც პოზიციის და მომენტის საოცარი შეგრძნებით აბათილებს.

23. მარკო მატერაცი
19.08.73; 193 სმ, 82 კგ; 31 თამაში, 1 გოლი

ცნობილია როგორც მეტოქეთა მოძულე და დაუნდობელი. თამაშის სტილით ძველმოდურია. ამ მუნდიალზე ჩეხებს გაუტანა.

3. ფაბიო გროსო
28.11.77; 190 სმ, 82 კგ; 22 თამაში, 2 გოლი

შეტევის მოყვარული მარცხენა მცველია, რომელმაც სახელი „პერუჯაში" სერსე კოზმის ხელმძღვანელობით დაიგდო, შემდეგ კი მოულოდნელად გადავიდა მაშინ სერია B-ს გუნდ „პალერმოში". ლიპის ხელში ნაკრების მუდმივი წევრია.

8. ჯენარო გატუზო
09.01.78; 177 სმ, 77 კგ; 46 თამაში, 1 გოლი

აგრესიული და ექსცენტრული ნახევარმცველია. ძირითადად, ჩამშლელია, თუმცა ბურთთანაც კარგადაა და კარშიც ურტყამს ხოლმე. აქვს მარტივი, მაგრამ სასარგებლო პასი.

21. ანდრეა პირლო
19.05.79; 177 სმ, 65 კგ; 30 თამაში, 5 გოლი

„მილანში" კარლო ანჩელოტის ხელმძღვანელობით სიჭაბუკის წლებთან შედარებით უფრო სიღრმეში დაიწია და გამთამაშებლობას დაცვის ფუნქციაც შეუზავა. აქვს ჩინებული პასი და ჯარიმებს საუცხოოდ ურტყამს. დიდებულ ფორმაშია.



20. სიმონე პეროტა
17.09.77; 178 სმ, 72 კგ; 30 თამაში, 1 გოლი

დაიბადა ინგლისში, მაგრამ ბავშვობაში ოჯახი იტალიაში გადასახლდა. ერთი წელიწადი „იუვენტუსში" ითამაშა. ნაკრებში ფეხი ლიპიმ მოაკიდებინა. ყველგან მორბენალი მუშა ნახევარმცველია.

16. მაურო კამორანეზი
04.10.76; 174 სმ, 70 კგ; 25 თამაში, 1 გოლი

დაიბადა და გაიზარდა არგენტინაში. ლიპი იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი თავდამსხმელით თამაშობს. ბურთს კარგად ფლობს და ჟინიანია.



10. ფრანჩესკო ტოტი
27.09.76; 180 სმ, 82 კგ; 57 თამაში, 9 გოლი

„რომაში" პირველად 1993 წელს, 16 წლისა გამოჩნდა და მას მერე უნიჭიერეს მოთამაშედ მიიჩნევა. ჩვეულებრივ, თავდამსხმელების უკან მოქმედებს. ევრო 2004-ზე მეტოქისთვის შეფურთხებით კი გაიტეხა სახელი, მაგრამ მაინც ვარსკვლავია.

9. ლუკა ტონი
26.05.77; 194 სმ, 89 კგ; 23 თამაში, 9 გოლი

უკვე ასაკოვანმა „პალერმოში" ორ სეზონში 50 გოლი გაიტანა და ლიპიმაც არ დაუგვიანა ნაკრებში გამოძახება. თითქოს მოუქნელია, მაგრამ ამ დროს გასაოცრად სწრაფია და მძლავრი.

იტალია

რა სჭირდება ადამიანს, რომელიც საფრანგეთთან თამაშის წინ იტალიის ნაკრებზე წერს? რა და, ზინედინ ზიდანის ბრუნება: ზიდანი, ზიდანმა, ზიდანს... რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი უფრო ფართო მოვლენაა, ვიდრე სამფეროვანთა მეგავარსკვლავი, მაგრამ ხელის ჩასაჭიდებლად დღეს მთელი მსოფლიოსთვის სწორედ მისი თემაა ყველაზე მოხერხებული. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ თვით იტალიაშიც კი, 9 ივლისზე ლაპარაკს ბევრი ზიდანით და მისი სავარაუდო მეურვით, ჯენარო გატუზოთი იწყებს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამისკენ „სკუადრა აძურას" ცენტრალური მცველის მარკო მატერაცის სიტყვები გვიბიძგებს — კითხვაზე, რას იტყვით ზიდანის საფრთხეზე, მან მიუგო — „ჩვენ გატუზო გვყავს."

საკუთრივ გატუზო კი სულ სხვანაირად ლაპარაკობს:

„ჩვენი ტაქტიკა პერსონალურ მეურვეობას სულაც არ გულისხმობს. ჩვენ არ მივსდევთ მეტოქეთა სათითაოდ განაწილების პრინციპს. სწორედ ეს ავიწყდებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ყბადაღებულ კატენაჩოზე იწყებენ დაუსრულებლად ლაპარაკს — „კატენაჩო ის" და „კატენაჩო ეს". ერთხელ კარლო ანჩელოტის ვკითხე, ხომ არ გინდა, ამა და ამ ფეხბურთელს პირადად დავუდგე-მეთქი და პასუხად ისეთი გამოხედვა მივიღე, რომ მივხვდი, რაღაც დიდი სისულელე ვთქვი. ზიდანის წინააღმდეგ მითამაშია, მაგრამ პერსონალურად არასდროს და კიდევ ერთს გეტყვით: მას ვერც დაიჭერ"...

მაგრამ დავანებოთ თავი ფრანგთა შემოქმედს, რადგან იტალიელებს ასეთი თავად ჰყავთ.

„ფინალში რატომ გავედით, იცით? იმიტომ, რომ გუნდმა ითამაშა ერთსულოვნად და მე თუ მკითხავთ, ერთსულოვნებაში უკვე ვართ მსოფლიოს ჩემპიონები. ჩვენთან ნებისმიერი ცვლილებისას ყველამ ვიცით, რომ ვინც შემოდის, გასულაზე არანაკლებ ითამაშებს — ამბობს ფრანჩესკო ტოტი, ვისიც სახვალიოდ მთელ აპენინებს ეიმედება — პრობლემები? ასეთი თავიდან გვქონდა, როდესაც დაშავებული და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები გვყავდა".

თუმცა ერთი ტრავმირებული იტალიელებს მაინც შემორჩათ — ალესანდრო ნესტა, რომელმაც ჩეხეთთან შეხვედრაში საზარდული იტკინა. ფინალის წინ იტალიელ ჟურნალისტებს მასთან შეხვედრა ძალითან სურდათ, მაგრამ ნესტა პრესკონფერენციაზე არ მივიდა, მის შესახებ კი მატერაციმ და გატუზომ ილაპარაკეს.

„ის ისეთი ბიჭია, არაფერს შეიმჩნევს, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ტრავმას საშინლად განიცდის" — თქვა გატუზომ.

ხოლო მეკარე, რომელმაც მთელი მსოფლიოს ჩემპიონატის განმავლობაში, ფაქტობრივად, გოლი არ გაუშვა — მოდი, თანაგუნდელისგან მოულოდნელად აჭრილ ბურთს ჯანლუიჯი ბუფონის კისერზე ნუ შემოვადებთ — ამბობს:

„თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. კარის დაცვის შიში საერთოდ არ მაქვს და პირიქით, თუ რაიმე გრძნობა მეუფლება, ყველა პოზიტიურია. გეფიცებით, ასეთ კარგ ფორმაში მთელი კარიერის განმავლობაში არ ვყოფილვარ, ხოლო რწმენას ჩემ წინ მდგომი საუცხოო დაცვა და საოცარი მწვრთნელი მმატებენ. აქ ლიპის ტექნიკურ და ტაქტიკურ განსწავლულობას იმდენად არ ვგულისხმობ, რამდენადაც მის უნარს, შენი შესაძლებლობების 120 პროცენტი გამოგავლენინოს. ყველაზე მეტად თამაშის წინა ღამე და დილა იქნება ძნელი გადასატანი, მაგრამ საკმარისია თამაში დაიწყოს, ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება".

ბაბუნა კვიდია

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მსაჯი: ორასიო ელიზონდო (არგენტინა)

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

საფრანგეთი



ფერფლიდან აღმდგარ საფრანგეთის ნაკრებს, ალბათ, თავი შეუჩერებელი ჰგონია და თუ სამფეროვანთ ასეთი გრძნობა მართლა დაუფლებიათ, ამაში გასაკვირი არაფერი უნდა იყოს.

„ჩვენ ამით ვერ დავკმაყოფილდებით“ — თქვა პორტუგალიასთან ნახევარფინალში 1:0 გამარჯვების შემდეგ მცველმა ლილიან ტურამმა.

დაგვეთანხმებით, რამდენიმე კვირის წინ სულ სხვა სიტუაცია იყო და თუ ფრანგთა ნაკრების შემყურე ვინმე რამეზე ფიქრობდა, ეს მუნდიალებზე მათი ზედიზედ მეორე ადრეული გავარდნა იქნებოდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ნაჩქარევი დასკვნები არ ვარგა. რაიმონ დომენეკის გუნდმა კრიზისს სძლია, ჯგუფიდან მეორე ადგილით გავიდა და პლეი ოფებში ჯერ ესპანეთი გამოთიშა შეჯიბრებას, მერე ბრაზილია და ბოლოს პორტუგალია.

„ცხადია, კმაყოფილები და ცოტა ამაყნიც ვართ, მაგრამ მიზნისთვის ჯერ არ მიგვიღწევია — თქვა დომენეკმა ჟურნალისტებთან ბოლო შეხვედრისას — მთავარია, საკუთარი წარმატების პასიურ მაყურებლებად არ გადავიქცეთ. წინ კიდევ ერთი მატჩია და ჩვენ ის უნდა მოვიგოთ“.

როგორც ელიან, ძლიერი დაცვით გამორჩეული ორი დიდი ისტორიის მქონე გუნდის დაპირისპირებაში უმთავრესი ტაქტიკური ბრძოლა იქნება.

დომენეკი: „ასეთ თამაშში იღბალი გჭირდება, იღბალი კი ყოველთვის უკეთ და უფრო სწორად მომზადებულს უღიმის. იმედი მაქვს, რომ ეს ჩვენ ვიქნებით“.

ფრანგთა დაცვა ისევე, როგორც ტრიუმფალურ 1998 წელს, ახლაც ოთხ მცველსა და მათ წინ პოზიციაგამავრებულ პატრიკ ვიეირასა და კლოდ მაკელელეზეა დაყრდნობილი. ხოლო წინ ყველაფერი კიდევ უფრო ნათელი და ცხადია: ზინედინ ზიდანი და ტიერი ანრი — აი, სამფეროვანთა მთავარი შემტევი პოტენციალი.

რვა წლის წინ ფრანგებმა გლორია გეინერის დისკო-კლასიკა I will survive ჰიმნად იქციეს და მართლაც გადაურჩნენ ყველანაირ ხიფათს. ახლა მათ ეს ლოზუნგი აქვთ: On vit ensemble, on meurt ensemble, რაც ერთად სიცოცხლეს და ერთად სიკვდილს ნიშნავს.

დომენეკი: „ეს უხსოვარი დროიდან მოდის. ამ სიტყვებს ომში წასვლის წინ ამბობდნენ. აქამდე ინგლისური ლოზუნგი გვქონდა ახლა ფრანგულზე გადავედით, მაგრამ აზრი არ შეცვლილა, მთავარი კვლავ გადარჩენაა“.

მაგრამ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, ევროპის ასევე ტრიუმფალურ 2000 წლის ჩემპიონატს და ახლანდელს შორის იყო 2002 წლის მუნდიალი და ევრო 2004, სადაც ფრანგები საშინლად უსუსურნი იყვნენ. მაშინ ზიდანი, მაკელელე და ტურამი წავიდნენ კიდეც ნაკრებიდან, მაგრამ შემდეგ დაბრუნდნენ და...

„ეს სიმბოლურია. ხალხი, რომელმაც საფრანგეთს გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩაუნერგა, დაბრუნდა და ხვალ მათი დამარცხება დიდი საცოდაობა იქნებოდა. მათ მსოფლიოს ჩემპიონობა დაიმსახურეს“.

პაპუნა კედია

სავარაუდო შემადგენლობა

16. ფაბიენ ბარტეზი
28.06.71; 182 სმ, 76 კგ; 86 თამაში



ოდესღაც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ მიიჩნევდნენ, მაგრამ მოულოდნელი უხეში შეცდომები სჩვევია. საერთოდ, ნაკრებში უფრო სტაბილურია, ვიდრე კლუბებში. ყურადღებას იპყრობს ქცევით და გადაპარსული თავით. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონია.

19. ვილი სანიოლი
18.03.77; 180 სმ, 78 კგ; 44 თამაში



წლობით იჯდა სათადარიგოთა სკამზე და წლობით ჩოოდა, რომ უსამართლოდ ეპყრობიან. კარიერა თავდამსხმელად დაიწყო, ამიტომაც ეხერხება შეტევაში ჩართვა.

15. ლილიან ტურამი
01.01.72; 185 სმ, 80 კგ; 120 თამაში, 2 გოლი

ნაკრებში 120 თამაშით სამფეროვანთა რეკორდსმენ მარსელ დესაის გადაასწრო. ორი წლის წინ სანაკრებო ფეხბურთს თავი დაანება, მაგრამ ზინედინ ზიდანთან ერთად დაბრუნდა.

5. უილიამ გალასი
17.08.77; 181 სმ, 72 კგ; 46 თამაში, 1 გოლი



რაიმონ დომენეკის ერთ-ერთი საყრდენი ფიგურაა. არ სიამოვნებდა ფრთაზე თამაში და ცენტრში გადაყვანისთვის დომენეკის მადლობელია.

3. ერიკ აბიდალი
11.09.79; 180 სმ, 75 კგ; 13 თამაში

ნიჭიერი, ფსიქოლოგიურად მტკიცე განაპირა მცველია, ნაკრებში დომენეკის ხელში დაიმკვიდრა ადგილი.

4. პატრიკ ვიეირა
23.06.76; 193 სმ, 83 კგ; 93 თამაში, 6 გოლი

საზარდულის ტრავმას სენეგალში დაბადებული ერთი ხანობა ფორმიდან ჰყავდა ამოგდებული, მაგრამ მძიმე სტარტის შემდეგ ათამაშდა და საუკეთესო ფორმას უახლოვდება. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩამშლელ ნახევარმცველად ითვლება.

6. კლოდ მაკელელე
18.02.78; 174 სმ, 70 კგ; 49 თამაში



ორი წლის წინ ზიდანთან და ტურამთან ერთად წავიდა ნაკრებიდან და მათთან ერთადვე დაბრუნდა. ერთ-ერთი უძლიერესი ჩამშლელი ნახევარმცველია.

22. ფრანკ რიბერი
07.04.83; 175 სმ, 72 კგ; 9 თამაში, 1 გოლი



სწრაფი დრიბლიორია, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატამდე ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში არ უთამაშია. ფრანგი გულშემატკივრის საყვარელი ახალგაზრდა თავდამსხმელი დომენეკს სამფეროვანთა მთავარ ჯგუფში თავდაპირველად არც ჰყავდა გათვალისწინებული.

10. ზინედინ ზიდანი
23.06.72; 185 სმ, 78 კგ; 107 თამაში, 30 გოლი

ხვალიდან ფეხბურთი გაღარიბდება — ის მიდის...

7. ფლორენ მალუდა
13.06.80; 184 სმ, 73 კგ; 18 თამაში, 2 გოლი

დომენეკის კიდევ ერთი რჩეულია. განაპირა ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებს, შეუძლია სწრაფი დრიბლინგი და ფრთიდან საჯარიმოში ჩაწოდება.

12. ტიერი ანრი
17.08.77; 188 სმ, 83 კგ; 84 თამაში, 36 გოლი



მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი. ცენტრფორვარდია გარემარბის სისწრაფით, ტექნიკითა და თვისებებით. ნაკლად სანაკრებო ფეხბურთში საკლუბოსთან შედარებით ნაკლები შედეგიანობა ეთვლება.

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მატჩი მესამე ადგილისთვის. დღეს

დოიჩლანდი და კლინსის ლანდი

მესამე ზედმეტი არ არის: ბრინჯაოც მედალია

გერმანია — პორტუგალია

შტუტგარტი. „გოტლიბ დაიმლერ შტადიონი“. 23.00

12. კანი; 6. ნოვოტნი, 21. მეცელდერი, 4. ჰუთი, 16. ლამი; 19. შნაიდერი, 5. კელი, 7. შვაინშტაიგერი, 18. ბოროვსკი; 11. კლოზე, 20. პოდოლსკი მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი	1. რიკარდუ; 2. პ. ფერეირა, 5. ფ. მეირა, 4. რიკარდუ კოშტა, 14. ნუნუ ვალენტე; 6. კოშტინია, 18. მანიშე; 20. დეკუ, 7. ფიგუ, 17. კ. რონალდუ; 9. პაულეტა მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

მსაჯი: ტორუ კამიკავა (იაპონია)

ოლივერ კანს კარი ეღირსა

AFP

მატჩი მესამე ადგილისთვის, სხვაგვარად, სანუგეშო ფინალი, რომელიც, სიმართლე ვთქვათ, ნუგეშად სულაც ვერ გამოდგება. უფრო სწორად, თუ ამ მესამე ადგილისთვის თურქეთი და სამხრეთ კორეა იბრძვიან, მათთვის ეს მატჩი დიდი რამეა, მაგრამ გერმანიას და პორტუგალიას, ვეჭვობთ, ისევე ძვირად უღირდეთ.

მაგრამ არსებობს მოვალეობის გრძნობაც, რომელიც ფეხბურთელებს თამაშს ავალდებულებს, მოედანზე გასულმა პროფესიონალებმა კი, ვეჭვობთ, ღირსება შეილახონ და მაყურებელს ბრძოლა არ ანახონ.

შტუტგარტი, სადაც სანუგეშო ფინალი გაიმართება, იურგენ კლინსმანის მშობლიური ქალაქია. უფრო სწორად, კლინსმანი შტუტგარტის მახლობლად, ჰაწაწინა ქალაქში დაიბადა, კარიერა კი „შტუტგარტში“ დაიწყო. ამდენად, კლინსმანის ვის ეს ფაქტორი, შესაძლოა, დამატებით მოტივაციადაც მოვიხსენიოთ.

პერსონალური მოტივაცია ექნება მიროსლავ კლოზეს, რომელიც, მოგეხსენებათ, ჩემპიონატის ბომბარდირობას უმიზნებს და საამისოდ საუკეთესო შანსი აქვს. კლოზემ პორტუგალიას რომც ვერ გაუტანოს, საეჭვოა, ამით მის მთავარმეგოლეობას რამე დაემუქროს, მაგრამ გოლის გატანას რომ დიდი მონდომებით ეცდება, მტკიცება რად უნდა.

კიდევ ერთი მოთამაშე, ვისთვისაც ეს მატჩი გამორჩეული იქნება, ოლივერ კანია. დიახ, პორტუგალიასთან იენს ლემანის ნაცვლად გერმანელთა კარს ოდინდელი კაპიტანი კანი დაიცავს. სავარაუდოდ, ეს მისი ბოლო სანაკრებო მატჩი იქნება. ყოველ შემთხვევაში, კანი-მომდევნო მუნდიალზე რომ ველარ ითამაშებს, ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს.

„ჩვენ გვინდა მოგება. ბრინჯაოც რაღაცას ნიშნავს“ — თქვა კანმა.

პორტუგალიელთა მწვრთნელმა ფელიპე სკოლარიმაც მსგავსი რამ განაცხადა, ნახევარფინალმა მელანქოლია შეგვყარა და ამ მატჩში გამარჯვება ხასიათს გამოგვიკეთებსო.

ზემოთ კლინსმანის მშობლიური ქალაქი ვახსენეთ და, მის ოჯახზეც ვთქვათ, რაკი სწორედ ოჯახზე ყოფილა დამოკიდებული, ვინ იქნება ბუნდესნაკრების მწვრთნელი მომდევნო ციკლში.

საქმე ის არის, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა კლინსმანს ახალი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა და საგანგებოდ აღნიშნა, მისი მუშაობით კმაყოფილები ვართო. ახლა ჯერი მწვრთნელზეა, რომელსაც გადაწყვეტილების მისაღებად ოჯახის წევრთა რჩევა სჭირდება. „ყველაფერი ოჯახზეა დამოკიდებული“ — თქვა კლინსმანმა.

ისე, ნაკრების უკლებლივ ყველა ფეხბურთელი და გულშემატკივართა 93 პროცენტი მის დარჩენას ემხრობა. „კლინსმან მას ბლაიბენ“ — კლინსმანი უნდა დარჩეს — აი, ეს არის, გერმანული მედიის ლოზუნგი.

როდის გადაწყვეტს კლინსმანი? ჯერ თავადაც არ იცის, მაგრამ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. 16 აგვისტოს გერმანია ამხანაგურად ხვდება შვედეთს და იმ დრომდე პასუხი უნდა იყოს.

თუმცა სათქმელს გადავუხვიეთ. კლინსმანს ჯერ დღევანდელი თამაში აქვს ჩასამთავრებელი.

როცა საგენტოები სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით სავარაუდო სასტარტო შემადგენლობებს ავრცელებენ, მასში მიროსლავ კლოზესაც წერენ, რომლისთვისაც, უკვე ვთქვით, რაოდენ მნიშვნელოვანია თამაში და გოლი. მაგრამ კლოზეს კუნთი აწუხებს და ივივე საგენტოები განმარტავენ, რომ მან, შესაძლოა, ვერ ითამაშოს. ოღონდაც, კლინსმანი მაინც დარწმუნებით ამბობს, კლოზე სასტარტოში მეყოლებაო.

სამაგიეროდ, როგორც ვთქვით, ითამაშებს ოლივერ კანი — წინა მსოფლიოს ჩემპიონატის. საუკეთესო მოთამაშე. კლინსმანმა მასზე თქვა: „მის გვერდით თამაში დიდი სტიმულია ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის. გარდა ამისა, ჩვენ მისი მადლობელებიც ვართ“.

კლინსმანი მადლიერებაში იმას გულისხმობს, რომ პირველმეკარეობის დამკარგავმა კანმა ვითარება აღარ გაამწვავა და პირიქით, მეგობრულად ამხნევებდა ლემანს და სხვებსაც.

კანისთვის ეს მე-6 სანაკრებო თამაში იქნება.

დღეს ვერ ითამაშებენ პერ მერტესაკერი და არნე ფრიდრიხი, ორივენი დაშავებულები არიან.

ამათ ტრავმებზე წერისას საგენტოები თითო აბზაცით კმაყოფილდებიან, აი, მიხაელ ბალაკი სხვა საქმეა — ბალაკიც ტრავმის გამო ვერ ითამაშებს.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდზე წერია, რომ ექიმებმა დაბეჯითებით ურჩიეს ბალაკს, არ ითამაშოს. 29 წლის კაპიტანმა გუშინ არც ივარჯიშა.

პორტუგალიელებს ტრავმირებული ერთი ფეხბურთელი ჰყავთ — მიგელი, ვინც ფრანგებთან თამაშისას დაშავდა. ერთიც — რიკარდუ კარვალიუ დისკვალიფიცირებულია.

სანუგეშო ფინალისწინა ამბებიც სულ ესაა...

გიორგი დარჯანია

AFP

მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლების შედეგები:

1930	ურუგვაი	ჩემპიონი
1934	იტალია	ჩემპიონი
1938	საფრანგეთი	მეოთხედფინალი
1950	ბრაზილია	მეორე ადგილი
1954	შვეიცარია	მეოთხედფინალი
1958	შვედეთი	მეორე ადგილი
1962	ჩილე	მესამე ადგილი
1966	ინგლისი	ჩემპიონი
1970	მექსიკა	მეოთხედფინალი
1974	გფრ	ჩემპიონი
1978	არგენტინა	ჩემპიონი
1982	ესპანეთი	მეორე ჯგუფური ეტაპი
1986	მექსიკა	მეოთხედფინალი
1990	იტალია	მესამე ადგილი
1994	ამერიკა	მერვედფინალი
1998	საფრანგეთი	ჩემპიონი
2002	სამხრეთ კორეა	მეოთხე ადგილი
	იაპონია	მერვედფინალი
2006	გერმანია	ითამაშებს მესამე ადგილისთვის

ფაბიო კაპელო: მე გამარჯვების დასაბრუნებლად დავბრუნდი

60 წლის ფაბიო კაპელო კვლავ მადრიდის „რეალის“ მწვრთნელია. შეგახსენებთ, რომ 1996-97-ის სეზონში კაპელომ ესპანეთის ჩემპიონობა მოაგებინა სამეფო გუნდს. „რეალს“ კი, კარგა ხანია, ჯილდოები ენატრება და იქაური ინჩასები სახელგანთქმული სპეციალისტის ესპანეთის სატახტოში ჩამოსვლას სიხარულით შეეგებნენ. „რკალის“ ძველ-ახალ თავკაცს „ასის“ კორესპონდენტი გაესაუბრა

— ათი წლის შემდეგ კვლავ „სანტიაგო ბერნაბეუს“ დაუბრუნდით...

— ბედნიერი ვარ, რომ კვლავ „რეალში“, მსოფლიოს საუკეთესო კლუბში მოვედი სამუშაოდ. მინდა, საქმეს მალე შევუდგე, რათა გუნდს გამარჯვებები დავუბრუნო. ამისთვის კი შეუპოვრად შრომა და სამეფო თეთრი მაისურის პრესტიჟის, იმ სულის აღდგენაა საჭირო, რაც ბოლო წლებში დაიკარგა. თუ ეს შევძელით, ტიტულებიც არ დააყოვნებს. ჩვენ ისევ ესპანური გრანდი უნდა გავხდეთ.

— ყველა თქვენს სიმკაცრესა და მტკიცე ხასიათზე ლაპარაკობს...

— დისციპლინა მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ არც ისეთი მკაცრი ვარ, როგორც ამბობენ. ბედი გვწყალობს, ფეხბურთში დასაქმებული ხალხი დღეში არცთუ დიდხანს ვმუშაობთ და ეს სამუშაო ხალისით და ბეჯითად უნდა ვაკეთოთ. ვარჯიშის დროს სულიერი და ფიზიკური სიმხნევე ერთნაირად საჭიროა. ფეხბურთელებთან მომთხოვნი ვიქნები, მაგრამ ეს სიმკაცრეს არ ნიშნავს. უბრალოდ, მინდა, ჩვენი შესაძლებლობები გონივრულად გამოვიბენოთ. რაც მუნდიალზე ვნახე, ფეხბურთმა ძალიან დიდი ევოლუცია განიცადა. მე საკმაო გამოცდილება და სურვილი მაქვს, „რეალს“ წარმატება მოვუტანო.

— წარმოგიდგენიათ წელი ტიტულის გარეშე?

— ჩვენ ძლიერი შემადგენლობა უნდა შევკრათ და ახალი ჯილდოები მოვიგოთ. დარწმუნებული ვარ, ამას შევძლებთ. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უმაღლესი დონის ახალი ფეხბურთელები მოვლენ, რომელთაც მადრიდულ არენაზე „რეალის“ ღირსეული სულის დაბრუნება შეუძლიათ.

— იტალიიდან თუ ადევნებდით „რეალს“ თვალყურს?

— ბოლო სეზონში ყველა თამაში ვნახე. ფეხბურთელებს დაველაპარაკები, სიტუაციას უკეთ გავეცნობი და ვარჯიშსაც შემდეგ დავიწყებთ. შემადგენლბაში ლიდერთა გამოძებნა აუცილებელია — სხვანირად მატჩებს ვერ მოვიგებთ. ღირსებისა და თავდადების გარეშე ვერაფერს გააკეთებ. თუ ვინმეს ჩემი ნათქვამი არ მოსწონს, შეუძლია, დღესვე დატოვოს „სანტიაგო ბერნაბეუ“. ჯერ გუნდზე უნდა იფიქრო და მხოლოდ შემდეგ პირად საქმეებზე.

— მნიშვნელოვან მოთამაშეებთან, რონალდოსთან, ბექემთან და რობერტო კარლოსთან საგანგებო შეხვედრები გექნებათ?

— ვნახოთ, რა მოხდება. შევეცდები, ყველაფერი გეგმაზომიერად წირიმართოს. თუ ლაპარაკი და ცალკე შეხვედრა აუცილებელია, ასე იყოს.

— ინჩასები მოედანზე ძველ რაულს ნახავენ?

— მე მჯერა რაულის. იგი ოცდაცხრა წლისაა და ბევრი რამით პაოლო მალდინის მაგონებს. ორივემ 17 წლისამ დაიწყო თამაში, ხოლო 38 წლის პაოლომ შარშანდელ სეზონში ურიგოდ არ იბურთავა. რაულიც მალე მოიკრებს ძალებს.

— კრიშტიანუ რონალდუთი ხართ დაინტერესებული?

— ვიცი, რომ მას „რეალში“ თამაშის პერსპექტივა ხიბლავს, ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა ფეხბურთელს... ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, უბრალოდ, რონალდუს რეალური სიმპათიებით კმაყოფილი ვარ.

— იტალიაში „იუვენტუსს“ და სხვა რამდენიმე იქაურ გრანდს დაბალ ლიგებში დაქვეითებით უპირებენ დასჯას...

— მართლაც დიდი მითქმა-მოთქმაა ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მე უკვე მადრიდში ვარ და მსურს, მარტო „რეალის“ წარმატებებზე ვიფიქრო.

— როგორ ფიქრობთ, სამეფო გუნდის დღევანდელი შემადგენლობა მზად არის თქვენი სამწვრთნელო მეთოდებისთვის?

— ცხადზე ცხადია: როცა ვინმე მოედანზე გამოდის და არც დარბის და არც იბრძვის, მას მეც გავუბრაზდები და „რეალის“ გულშემატკივარიც. წარმოიდგინეთ, თქვენ „რეალის“ ფეხბურთელი ხართ და რომელიმე, არცთუ მაღალი კლასის გუნდთან გამოდიხართ მოედანზე საომრად. მეტოქე გრანდთან მოსაგებად ძვლებს ტოვებს მინდორზე, თქვენ კი, ხშირ შემთხვევაში თამაშის მაგივრად ფინანსურ ხეირზე ფიქრობთ... არ ვარ ზედმეტად მკაცრი, მაგრამ საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას არაფის შევარჩენ.

— ახალი სეზონისთვის სამზადისზე რას გვეტყვით?

— „რეალის“ იმ ფეხბურთელებს, რომელთაც მუნდიალზე ითამაშეს, საკმარისი დასვენება სჭირდებათ. სეზონის დაწყებამდე ტურნე გვექნება ავსტრიაში, სადაც ვივარჯიშებთ და ნათამაშებ მატჩებს შევისწავლით. ფიზიკურ მომზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ.

— შეეცდებით, ზიდანი დაარწმუნოთ, დარჩეს ფეხბურთში?

— ზიდანს პლატინივით ემართება, ნიჭის გამოვლენის ყველაზე საუკეთესო პერიოდში აპირებს დიდი ფეხბურთის მიტოვებას. აქაც მოვლენათა განვითარებას დაველოდებით — წასვლის გადაწყვეტილება თავად მიიღო, თუმცა, თუ საშუალება მოგვეცა, ვეცდებით, ლეგენდარული მოთამაშე კვლავ ჩვენთან დარჩეს.

— მეკარე კასილიასზე რას ფიქრობთ? მისი დონით კმაყოფილი ხართ?

— იკერი ესპანეთის ნაკრების მეკარეა, კარგი გოლკიპერია და „რეალის“ ძირითადში მისი ყოფნის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. საერთოდაც, მეკარის ადგილზე პრობლემა არ გვაწუხებს.

— „იუვენტუსიდან“ ბევრ ფეხბურთელს გადმოიყვანთ „რეალში“?

— რა გითხრათ... ახლა ყველა დიდი კლუბი „იუვეს“ და „მილანის“ ვარსკვლავებს უმიზნებს — იტალიური გრანდები ხომ სერია B-სა და C-ში ქვეითდებიანო. კვირას მუნდიალის ფინალში საფრანგეთის წინააღმდეგ რვა ფეხბურთელი ითამაშებს „იუვენტუსიდან“.

— ინგლისური გაზეთები „რეალიდან“ დევიდ ბექემისა და რობერტო კარლოსის წასვლის შესახებ წერენ...

— ბექემთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ არსებობს. დევიდი „რეალისთვის“ საჭირო ფეხბურთელია. აი, რობერტო კარლოსის მთხოვნელი კი ბევრი კლუბი გამოჩნდა, უმთავრესად, ინგლისელები. როცა შევხვდებით, ყველაფერზე მოვილაპარაკებთ.

— და რონალდო?

— რონალდოზე მისი ჯილდოები მოგვითხრობენ. იგი განსაკუთრებული ტიპის მოთამაშეა. რონის გოლის საოცარი ალღო აქვს, რაც აუცილებელია თამაშების მოსაგებად. სამომავალსეზონო შემადგენლობის დადგენისას ფრთხილად უნდა ვიყოთ, დიდი ფეხბურთელები სხვაგან რომ არ გავუშვათ.

— ვიეირას შეძენა გინდათ?

— ვიეირა ერთხელ უკვე ვიყიდე „იუვენტუსისთვის“. თავიდან ჯანმრთელობა აწუხებდა, მაგრამ მერე ყველა სატკივარს სძლია და ნახეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე როგორ თამაშობს... ყველა ფეხბურთელს ვერ შევიძენთ, „ბერნაბეუზე“ მხოლოდ იმათ მოვიყვან, ვინც გუნდს სჭირდება.

— რა თქმა უნდა, ჩემპიონთა თასზე ფიქრობთ...

— ცხადია, ფეხბურთელისა და მწვრთნელისთვის ჩემპიონთა თასის მოგება უმნიშვნელოვანესია კარიერაში და ჩვენც ვეცდებით, „რეალმა“ ეს ჯილდო მოიგოს.

— რა უნდა გამოსწორდეს სამეფო გუნდის თამაშში?

— ძირითადად, დაცვის ხაზი. თავდასხმა, როგორც „რეალს“ შეეფერება, ისევ ისეთივე ძლიერია, ოღონდ დაცვა... იმედი მაქვს, ფეხბურთელები სულს და გულს გაიმეტებენ „რეალისთვის“.

— თქვენს ძველ შეგირდს, მიატოვიჩს რა ვითარებაში შეხვდით? ახლა ჩერნიგორიელი „რეალის“ სპორტული დირექტორია...

— ხმელთაშუა ზღვის პატარა კუნძულზე შევხვდით და ჩემი კონტრაქტის დეტალები გავარკვიეთ. პრედრაგ მიატოვიჩმა მითხრა, რომ მადრიდულ კლუბს მე ვჭირდებოდი. მის და პრეზიდენტ კალდერონის პოლიტიკას მთლიანად ვეთანხმები, მაგრამ სიტუაციის ბოლომდე გარკვევისთვის მცირეოდენ დრო მაინც დამჭირდება.

— საინტერესო იქნება, ფაბიო კაპელო ამ შეკითხვაზე რას გვიპასუხებს — „ბარსელონა“ დაუმარცხებელია?

— კატალონიელების არ უნდა გვეშინოდეს. ჩვენ „რეალი“ ვართ და ჩვენი ღირსება გვაქვს. „ბარსას“ ძლიერება პატივისცემას იმსახურებს, ოღონდ შორს ჩვენგან შიში.

— ფრანკო ბალდინი, „რომას“ ყოფილი სპორტული დირექტორი მიატოვიჩის თანაშემწედ იმუშავებს...

— ამ კაცმა ფეხბურთში ძალიან ბევრი იცის. მასთან ერთად „რომაში“ ვმუშაობდი, კარგი სპეციალისტი და ჩინებული პიროვნებაა.



თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ხელმძღვანელი ჰრიოვ. თამაზ თამაზაშვილი
• უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად დაშედეგით კმაყოფილი დარჩები
• უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
• გარანტირებული შედეგები
• უახლესი ავტორეგმატული ამერიკული ტექნოლოგიები

HAIRLINE INTERNATIONAL
მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამერიკაკავკასიაში
ქავთარაძის 16 (სამეჩინაღო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

მინისტრმა ამნისტია მოითხოვა

რა უნდათ ვარსკვლავებს სერია C-ში?

კლემენტე მასტელა

იტალიის იუსტიციის მინისტრი კლემენტე მასტელა მიიჩნევს, რომ რაკი „სკუადრა აძურა“ ფინალში გავიდა, მით უმეტეს, ჩემპიონობის შემთხვევაში, კარგი იქნება, თუ მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალში გახვეულ კლუბებს „იუვენტუსს“, „მილანს“, „ფიორენტინასა“ და „ლაციოს“ შეიწყალებენ.

„მთავრობას არ აქვს უფლება, ამ ამბავში ჩაერიოს, მაგრამ ვფიქრობ, ფანების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამნისტია კარგი იქნება. როგორც ქომაგი, მეც ასე ვთვლი. ფაბიო კანავარომ, ალესანდრო დელ პიერომ და სხვა ვარსკვლავებმა ყველაფერი იმის მერე, რაც მათ გააკეთეს, სერია **B**-ში ან **C**-ში უნდა ითამაშონ?“ — ამბობს მასტელა.

აპენინებზე ბევრი ჩინოვნიკი თუ მოთამაშე ამ აზრს არ იზიარებს, თუმცა უმეტესობა მაინც ამნისტიის მომხრეა და თვლის, რომ იტალიური და ზოგადად ფეხბურთისთვის ამ გრანდების დაქვეითება ცუდის მეტს არაფერს მოიტანს. მათი აზრით, საუკეთესო გამოსავალი უშუალოდ მაქინაციებში მონაწილე პირების დასჯა და კლუბებისთვის ფულადი ჯარიმის დაკისრება იქნება.

ცოტა პარადოქსული ვითარებაა „იუვენტუსთან“ დაკავშირებით, რომელიც ყველაზე ღრმად არის ამ სკანდალში ჩაფლული. საქმე ისაა, რომ მუნდიალის ფინალში გასულ იტალიის ნაკრებში „ბებერი ქალბატონის“ 8 წევრი ირიცხება, ანუ ტურინელებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავთ, მთლიანად კი სკანდალში გახვეული კლუბებიდან 12 მოთამაშეა.

გიორგი კაკაბაძე

იტალიური „ლივორნო“ ჯოვანი პასკუალეთი გაძლიერდა. ტოსკანელებმა მარცხენა მცველი „ინტერიდან“ დაიმატეს, თუმც მილანელებს 24 წლის ფეხბურთელზე სანახევრო უფლებები იქამდე რჩებათ, სანამ „ლივორნო“ მას ბოლომდე არ გამოისყიდის.

ესპანურმა „დეპორტივომ“ „ლივერპულიდან“ ნიჭიერი მცველი ანტონიო ბარაგანი იყიდა. გავრცელებული ცნობით, ლაკორუნიელებს 19 წლის ფეხბურთელი 2,5 მილიონი ევრო დაუჯდათ. მერსისაიდელებმა კი უფლება დაიტოვეს, სურვილის შემთხვევაში 2008 წელს ბარაგანი უკან გამოისყიდონ.

ფრანგული „მონაკო“ იტალიელ მცველ კრისტიან ძაკარდოთი დაინტერესდა. „ლუი მეორის“ ბინადრები მზად არიან, „პალერმოს“ მის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადაუხადონ.

ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის“ თავკაცი რონალდ კუმანი მიიჩნევს, რომ გუნდის პერუელი ფორვარდი ჯეფერსონ ფარფანი შეცდება, თუ „პორტსმუთში“ გადავა და მისი შენარჩუნება სურს. ინგლისელები 21 წლის ფეხბურთელში 10 მილიონ გირვანქას იხდიან და პრემიერლიგაში გადასვლის პერსპექტივა თავად ფარფანსაც ხიბლავს.

გერმანული „ჰამბურგის“ ახალწვეულმა ვენსან კომპანიმ აღნიშნა, რომ „ჩელსის“ წინადადებაზე საკუთარი სურვილით თქვა უარი. „ლონდონელები რამდენჯერმე დამიკავშირდნენ, მაგრამ იქ ძირითადში მოხვედრის გარანტია არ მექნებოდა და არ დავთანხმდი. შესაძლოა, მომავალში გადავიდე კიდეც“ — აღნიშნა „ანდერლეხტის“ ყოფილმა მცველმა. ნიჭიერი ბელგიელი „ჰამბურგს“ 5 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

ფრანგულმა „ტულუზმა“ დანიური „ბრონდბიუდან“ შვედი თავდამსხმელი იოჰან ელმანდერი შეიძინა. ტრანსფერის ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. 25 წლის ფეხბურთელმა თავის ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ესპანურმა „ესპანიოლმა“ ინგლისური „სანდერლენდის“ ლიდერ ხულიო არკას დაადგა თვალი. „პრიმერადივიზიონში თამაში ყოველთვის მინდოდა. იქ ჩემი ბევრი თანამემამულეა, რომლებიც ესპანეთს კარგად მიხასიათებენ. თანაც თუ „ესპანიოლში“ გადავალ, უეფას თასზეც ვითამაშებ. იმედია, ტრანს“ კერი შედგება“ — თქვა თავად არგენტინელმა.

იტალიის ნაკრების მწვრთნელი მარჩელო ლიპი მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი გახდეს. ამბობენ, იგი მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალისას გაანწყენეს, როდესაც პროკურატურამ თავის შვილთან ერთად დაკითხა პროკურატურაში და „სკუადრა აძურას“ დატოვება ამიტომაც გადაწყვიტა.

კარომ რასინგი გააკვირვა და ლევანტეში გაიქცა

ხუან რამონ ლოპეს კარომ, მადრიდის „რეალის“ ექსდამრიგებელმა სანტანდერის „რასინგთან“ კი გააფორმა კონტრაქტი, თუმც გუშინ გაირკვა, რომ გუშინ ეს სპეციალისტი კანტაბრიიდან ვალენსიურ „ლევანტეში“ წასულა სამუშაოდ.

„ორი დღის წინ ლოპეს კაროს კონტრაქტის დარღვევის გამო ფულად კომპენსაციას არ მოვთხოვთ, მაგრამ მისი საქციელი ჩვენთვის მართლაც მიუღებელია“ — განაცხადა „რასინგის“ პრეზიდენტმა ფრანსისკო პერნიამ.

ლოპეს კაროს მიერ მიტოვებულ გუნდს ახლა მიგელ ანხელ პორტუგალი გაწვრთნის, კაცი, რომელიც ადრე სხვადასხვა კლუბების ახალგაზრდულ გუნდებს თავკაცობდა. „რასინგის“ არშემდგარმა დამრიგებელმა კი სანტანდერის მერი ალკალდი გონსალო პინიეიროც გადარია: „ჯერ ვერაფრით ვხვდები, ლოპეს კარო რამ გააქცია „ლევანტეში“ ამ მწვრთნელმა რქები დაგვადგა“...

ლადო ხომერიკი

კრისტიან სამპდორიელი

ბობოს მორიგი გაჩერება — გენუა

ვეტერანი იტალიელი ფორვარდი კრისტიან ვიერი ოფიციალურად გახდა გენუის „სამპდორიას“ ფეხბურთელი. როგორც ამბობენ, მოლაპარაკება ამდენ ხანს იმიტომ გაიწელა, რომ მხარეები „ბობოს“ ხელფასზე ვერ თანხმდებოდნენ. საბოლოოდ დათმობაზე 33 წლის თავდამსხმელი წასულა. კონტრაქტი ერთწლიანია.

გეხსომებათ, ვიერიმ გასული სეზონის პირველი ნახევარი „მილანში“ გაატარა, მეორე კი — „მონაკოში“, მაგრამ საქმე არც ერთ კლუბში არ აეწყო. მიუხედავად ამისა, მუნდიალზე მოხვედრის იმედს მაინც ინარჩუნებდა, თუმც მუხლის ტრავმამ ეს შეუძლებელი გახადა. სხვათა შორის, გენუელთა რიგებში, თავის დროზე, მამამისს, რობერტოსაც, უთამაშია.

„ბობოს“ ექიმებისა და „სამპდორიას“ გენერალური დირექტორის, ბეპე მაროტას თქმით, ვიერი მალე ბოლომდე მომჯობინდება და სეზონის დაწყებისთვის, წესით, სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს. გარდა ამისა, გენუელები კიდევ აპირებენ რამდენიმე ტრანსფერის განხორციელებას თავდამსხმის გასაძლიერებლად.

კოკი კანდელაკი

ბექემი რეალიდან მიდის?

არაფითარ შემთხვევაში

დევიდ ბექემის ესპანელმა აგენტმა სიმონ ოლივეირამ უარყო ჭორები მისი კლიენტის მადრიდის „რეალიდან“ შესაძლო წასვლის შესახებ. მითქმა-მოთქმა ცოტა ხნის წინ დაიწყო — ბექემი „ნიუკასლის“ მმართველ ფრედი შეპარდს შეხვდა და ტრანსფერზე ესაუბრაო.

სიმონ ოლივეირა: „დევიდი არსადაც არ მიდის. პირიქით, კლუბთან ახლა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება. ადრე თუ გვიან; ეს აუცილებლად მოხდება, რადგან თანამშრომლობის გაგრძელება ორივე მხარეს სურს. დევიდი და მისი მეუღლე მართლაც იყვნენ ლონდონში, ვიქტორიას ახალი წიგნის გარკვეული დეტალების გამომცემელთან შესათანხმებლად და იმ დროს ფრედი შეპარდიც იქ იყო. თუმცა ისინი არ შეხვედრიან ერთმანეთს, ეს ჟურნალისტების მონაჩმახია“.

მას მერე, რაც „რეალში“ ახალი პრეზიდენტი მივიდა, ცხადი გახდა, რომ გარკვეულ რეორგანიზაციას ექნება ადგილი. მათ შორის ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვას. როგორც ჩანს, ბექემს ეს არ შეეხება.

„დევიდი უკვე ესაუბრა ახალ პრეზიდენტ რამონ კალდერონს და მწვრთნელ ფაბიო კაპელოს. იგი ორივე მათგანით კმაყოფილია და „რეალში“ თამაშს სიამოვნებით განაგრძობს. ბექემი კლუბთან ერთად მომავალ, წარმატებულ სეზონზე ფიქრობს“ — დასძინა ოლივეირამ.

კოკი კანდელაკი


AFP




AFP

AFP

მაშ, იტალია და საფრანგეთი! ზიდანი, ანრი და კომპანია უკანასკნელ სამ მუნდიალზე მეორედ გავიდნენ ფინალში და სამშობლოში მათ შეჰხარის დიდი და პატარა. ერთმანეთს შეჰხარიან და შერწყმიან ტიერი ანრი და მისი მეუღლე ნიკოლი. ძველმა მეგობრებმა და წლების განმავლობაში მადრიდის „რეალში“ გვერდიგვერდ ნათამაშებმა, ოთხშაბათს კი პირისპირ დამდგარმა ზიდანმა და ფიგუმ თავიანთ უკანასკნელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთმანეთს მაისურები გაუცვალ-უსახსოვრეს.

ქვევით და, საერთოდ, მთელი ტურნირის განმავლობაში, სულ ერთად ვხედავთ კაიზერ ფრანც ბეკენბაუერს და კანცლერ ანგელა მერკელს. მოკლედ, ისევ ბურთი და ფეხბურთი. მაგრამ ამ გაგანია მსოფლიოს ჩემპიონატის დროსაც, თან გერმანიაში, ისეთ მყუდრო ალაგსაც წააწყდებით, სადაც ფეხბურთი არ არღვევს სიმშვიდეს მონატრებული ბიურგერების მყუდროებას. ეს კაფეც ზუსტად ასეთია: არასაფეხბურთო! უბრალოდ, კაფეა და მორჩა.

AFP

სარბიელი ტოტალიზატორ ᲞᲠᲝᲢᲝ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		8 ივლისი						
23:00	416	გერმანია-პორტუგალია	1.65	3.30	4.80	1.10	1.22	1.95
		9 ივლისი						
22:00	417	იტალია-საფრანგეთი	2.50	2.70	3.00	1.29	1.36	1.42
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		9 ივლისი						
20:00	849	სპარტა-მანგლერუდი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
20:00	850	ტრომსდალენი-კონსვინგერი	2.30	3.30	2.75	1.35	1.25	1.50
20:00	851	ჰაუგესუნდი-პორს გრენლანდი	1.80	3.50	3.80	1.18	1.22	1.82
20:00	852	ალესუნდი-ბოდოი გლიმტი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
20:00	853	ჰიოდი-ჰიონეფოსი	3.30	3.50	1.95	1.69	1.22	1.25
20:00	854	ლოვ ჰამი-ფოლო	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
20:00	855	მოსი-სტრიომსგოდსეტი	2.90	3.40	2.15	1.56	1.23	1.31
		შვედეთი. სუპერეტა						
		8 ივლისი						
18:00	856	ატვიდაბერგი-მიალბი	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
18:00	857	ბრომაპოიარნა-ასირისა	2.45	3.30	2.55	1.40	1.24	1.43
18:00	858	ლევერფორსი-უმეა	1.45	4.30	5.50	1.08	1.14	2.41
		10 ივლისი						
21:00	859	ფალკენბერგი-სუნდსვალი	2.20	3.30	2.90	1.31	1.25	1.54
21:00	860	ლიუნგსკილე-ლანდსკრონა	2.60	3.30	2.40	1.45	1.24	1.38
21:00	861	ნორჩიოპინგი-ტრელებორგი	2.25	3.40	2.60	1.35	1.20	1.47
21:00	862	იორებრო-იონკოპინგი	1.35	4.50	7.00	1.03	1.13	2.73
21:00	863	ქვიდინგი-ვესბი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
		ირლანდია						
		8 ივლისი						
22:30	872	ლონგფორდი-კორკი	3.60	3.20	1.90	1.69	1.24	1.19

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		9 ივლისი						
18:15	874	ბრეი-დუბლინი	2.30	3.10	2.65	1.32	1.23	1.42
		აშშ						
		8 ივლისი						
23:45	881	ჰიუსტონი-ჩივასი	1.90	3.10	3.60	1.17	1.24	1.66
23:45	882	კოლამბუსი-ვაშინგტონი	2.80	3.20	2.20	1.49	1.23	1.30
23:45	883	ჩიკაგო-ნიუ ინგლენდი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
23:45	884	დალასი-ნიუ იორკი	1.65	3.20	4.60	1.08	1.21	1.88
23:45	885	კოლორადო-კანზასი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
23:45	886	ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
		ინტერტოტოს თასი						
		8 ივლისი						
21:00	942	ზრინსკი-მაკაბი ფთ	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
21:30	943	ლოკომოტივი პლ-ფარუელი	1.90	3.20	3.30	1.19	1.20	1.62
21:00	944	კაისარი-სოპრონი	1.25	4.30	8.00	1.00	1.08	2.79
20:00	945	ლეხი-ტირასპოლი	1.25	4.50	7.60	1.00	1.07	2.82
17:00	946	მარიბორი-ზეტა	1.50	3.50	5.20	1.04	1.16	2.09
17:00	947	"შელბურნი-ოდენსე	2.20	3.10	2.65	1.28	1.20	1.42
19:00	948	დინაბურგი-ჰიბერნიანი	3.30	3.20	1.90	1.62	1.20	1.19
20:00	949	დნიპრო-ნიტრა	1.40	3.70	6.50	1.01	1.15	2.35
19:00	950	კალმარი-ტამპერე	1.50	3.60	5.00	1.05	1.15	2.09
17:00	952	ეთნიკოსი-ოსიეკი	3.70	3.30	1.75	1.74	1.18	1.14
		9 ივლისი						
18:00	940	მტს რიპო-მოსკოვი	2.85	3.10	2.20	1.48	1.24	1.28
18:00	941	კეფლავიკი-ლილესტრიომი	3.40	3.40	1.80	1.70	1.17	1.17
18:30	951	ტეპლიცე-ურასპერი	1.90	3.20	3.30	1.19	1.20	1.62
		ჩოგბურთი.ქალები.უიმბლდონი						
		8 ივლისი						
16:00	956	ენენი-მორესმო	1.35	2.50				

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10416	გერმანია-პორტუგალია	2.00	2.00	5.30	1.00	1.45	1.45
10417	იტალია-საფრანგეთი	2.70	1.70	3.60	1.04	1.54	1.15

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11416	გერმანია-პორტუგალია	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	6.00
11417	იტალია-საფრანგეთი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.50

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12416	გერმანია-პორტუგალია	1.70	1.90
12417	იტალია-საფრანგეთი	1.35	2.40

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15416	გერმანია-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15417	იტალია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00

ფრის გარეშე (ძირ დრო)

16416	გერმანია-პორტუგალია	1.20	3.00
16417	იტალია-საფრანგეთი	1.60	2.00

გოლი:ფსევდონიმი-10თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსევდონიმად)

17416	გერმანია-პორტუგალია	1.85	1.95
17417	იტალია-საფრანგეთი	1.85	1.95

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13416	გერმანია-პორტუგალია	1.70	1.90
13417	იტალია-საფრანგეთი	2.00	1.60

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესონი წაგებულად ჩაითვლება)

14416	გერმანია-პორტუგალია	1.40	2.30
14417	იტალია-საფრანგეთი	1.75	2.00

ვინ დაიწყებს თამაშს

19416	გერმანია-პორტუგალია	1.85	1.85
19417	იტალია-საფრანგეთი	1.85	1.85

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20416	გერმანია-პორტუგალია	1.60	2.00
20417	იტალია-საფრანგეთი	1.70	1.90

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22416	გერმანია-პორტუგალია	1.80	1.80
22417	იტალია-საფრანგეთი	1.65	1.95

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყვ) (ძირ. დრო)

21416	გერმანია-პორტუგალია	1.90	10.00	1.70
21417	იტალია-საფრანგეთი	1.90	10.00	1.70

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23416	გერმანია-პორტუგალია	2.80	1.32
23417	იტალია-საფრანგეთი	2.80	1.32

ვინ მოაწვდის პირველ აუტს

24416	გერმანია-პორტუგალია	1.80	1.80
24417	იტალია-საფრანგეთი	1.80	1.80

ვინ გავა მესამე ადგილზე

18416	გერმანია-პორტუგალია	1.25	3.00

ვინ აიღებს თასს

18417	იტალია-საფრანგეთი	1.60	2.00

გაიხსნა ᲞᲠᲝᲢᲝᲡ ახალი ბიუროები:
თბილისი – მოსკოვის გამზირი №6;
ზესტაფონი – ალმაშენებლის №39;
გარდაბანი – ალმაშენებლის №12

ინტერტოტოს თასი 2006. II ეტაპი

თბილისი. 9 ივლისი. 19 საათი. მიხეილ მესხი

დინამო — რიდი (1:3)

გვიქომაგეთ, არ ინანებთ!

დინამო რიდთან: ომი და გასვლა

ხვალ „მიხეილ მესხზე“ თბილისის „დინამო“ ავსტრიულ „რიდთან“ ინტერტოტოს გათამაშების მეორე ეტაპის საპასუხო მატჩს გამართავს. პირველი შეხვედრა, რომელიც ერთი კვირის წინ ავსტრიაში შედგა, მასპინძლებმა 3:1 მოიგეს და ახლა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ჩვენებს 2:0 ან მეტი სხვაობით მოგება სჭირდებათ...

საამმატჩოდ სტუმრები თბილისში ამ დილით ჩამოვიდოდნენ და სასტუმრო „შერატონში“ დაბინავდებოდნენ. 7 საათზე კი „მიხეილ მესხზე“ ივარჯიშებენ. როგორც შევიტყვეთ, „რიდის“ თავკაცი ჰელმუტ კრაფტს „დინამოსთან“ საპასუხო მატჩისთვის უძლიერესი შემადგენლობა ჩამოჰყავს.

მასპინძლები კი გუშინდლიდან დიღმის ბაზაზე არიან შეკრებაზე. „დინამოს“ „რიდთან“ ორი ყვითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებული მცველი დავით გიგაური დააკლდება, ხოლო დანარჩენ ფეხბურთელთაგან ვინ ითამაშებს, მწვრთნელი კახა კაჭარავა მატჩის წინ იტყვის. ერთი კია, როგორც მწვრთნელმა პირველი შეხვედრის შემდეგ გვითხრა, „დინამო“ თბილისში სამი ან იქნებ ოთხი თავდამსხმელითაც ითამაშებს. სხვას კი მატჩი გამოაჩენს, „დინამო“ ძალიან ოპტიმისტურ განწყობაზეა და ქომაგების დიდი იმედიც აქვს. ფეხბურთელები და კლუბის ხელმძღვანელები ხალხს სტადიონზე მისვლისკენ მოუწოდებენ, ქომაგის მხარდაჭერა ამ მატჩში ეგებ გადამწყვეტიც იყოსო, ამბობენ.

გუშინ კი თბილისის „დინამოს“ ახალ კაპიტანს შოთა კაშიასა და ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ფორვარდს მიხეილ ბობოხიძეს გავესაუბრეთ...

შოთა კაშია: მძიმე ტრავმის გამო თითქმის მთელი წინა სეზონი გამიცდა, მაგრამ, ვფიქრობ, ახლა ნორმალურ ფორმაში ვარ, მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ და ჩვენი ახალგაზრდული გუნდის დიდი იმედიც მაქვს. „რიდთან“ პირველი მატჩი ისევ და ისევ ჩვენი შეცდომების გამო წავაგეთ, თორემ წასაგები ნამდვილად არაფერი გვქონდა, მით უმეტეს, ორბურთიანი სხვაობით. თბილისში კი თავდადებით უნდა ვითამაშოთ, თუ ბოლომდე ვიბრძოლებთ და ქომაგების მხარდაჭერაც გვექნება, მომდევნო ეტაპზე გავალთ.

...როცა კაპიტნად ამირჩიეს, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. „დინამოს“ კაპიტნობა ხომ თითქმის ყველა ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა. დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და ნელ-ნელა კაპიტნის სამკლავურსაც ვეგუები.

მიხეილ ბობოხიძე: სხვა რა გზა გვაქვს, უნდა მოვიგოთ, მით უმეტეს, „რიდი“ სულაც არ მიგვაჩნია დაუმარცხებელ გუნდად. თუ სწორად ვითამაშებთ და იმ ელემენტარულ შეცდომებს არ გავიმეორებთ, რაც პირველი შეხვედრისას გვქონდა, დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ. „რიდი“ საშუალო ევროპულზე დაბალი დონის გუნდია, გამორჩეული ფეხბურთელი არავინ ჰყავს, ყოველ შემთხვევაში, პირველი მატჩის შემდეგ ვერავის გამოვყოფდი. ჩვენ კი პერსპექტიული და მომავლის გუნდი გვყავს, ბევრი ახალგაზრდაა და ამიტომაც „რიდთან“ შეხვედრისას ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქომაგის მხარდაჭერა. ქომაგებს მივმართავთ, რომ მოვიდნენ სტადიონზე, ჩვენ მათ არ გავაწბილებთ.

კოტა ინასარიძე

ლარს კრისტერ-ოლსონი და ნოდარ ახალკაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ფარაძე დოლელიანის ფოტო

ახალკაცი უეფაშიც დასაქმდა

საინტერესო ცნობა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი უეფას ტექნიკური განვითარების მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრად სამწლიანი ვადით აირჩიეს. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ამჟამად შვეიცარიაში მყოფი ახალკაცი ოფიციალურად 2006 წლის 1 ივლისს დამტკიცდა ამ კომიტეტის წევრად, რაც მას პირადად მიულოცა უეფას აღმასრულებელ-განმკარგულებელმა ლარს-კრისტერ ოლსონმა.

საინტერესოა, რომ ტექნიკური განვითარების კომიტეტი უშუალოდ საფეხბურთო საკითხებზე მუშაობს და მისი წევრები მათიას ზამერი, ემე ჟაკე, ტრევორ ბრუკინგი, ჯაჩინტო ფაკეტი და სხვა ცნობილი სახეები არიან.

ცნობისთვის: 1996-98 წლებში ამ კომიტეტის წევრი ნოდარ ახალკაცი-უფროსი გახლდათ.

კახა შალამბერიძე

ფიფა ახლებურად დაითვლის

„ფიფა-კოკა კოლას“ რეიტინგში ქულები ახლებურად დარიცხება — ამის თაობაზე ფიფამ გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

კერძოდ, რა მხრივ იქნება ცვლილებები: აქამდე რეიტინგი ნაკრებების მიერ ბოლო 8 წელიწადში ნაჩვენები შედეგების მიხედვით ითვლებოდა, ახლა კი 4 წელიწადში დაითვლება.

თანაც, გააჩნია ამ 4 წელიწადიდან როდის როგორი შედეგები გაქვს აქტივში: ბოლო წელს ნაჩვენები შედეგი 100 პროცენტით შეფასდება, ბოლოდან მეორე — 50 პროცენტით, ბოლოდან მესამე — 30 პროცენტით და ბოლოდან მეოთხე — 20 პროცენტით.

ახლებურ რეიტინგსიას ფიფა 12 ივლისს გამოაქვეყნებს.

ვნახოთ, რამდენად წაადგება ეს ცვლილებები საქართველოს ნაკრებს...

ილია ნანოგაშვილი

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

EURO 2008

ჩვენი მეტოქე

საქართველო ფარერებზე, უკრაინა აზერბაიჯანთან

მოგეხსენებათ, ევრო 2008-ის მეორე შესარჩევი ჯგუფი 16 აგვისტოს ფარერები — საქართველოს მატჩით დაიწყება. ამავე დღეს ჩვენი მომავალი მეტოქე უკრაინა კიევში აზერბაიჯანის ნაკრებს უმასპინძლებს ამხანაგურად. აქვე შეგახსენებთ, უკრაინელები შესარჩევ ციკლს სწორედ ქართველებთან საშინაო მატჩით ხსნიან 6 სექტემბერს.

„ფორმალურად, უკრაინის ნაკრები შვებულებაშია, მაგრამ ოლეგ ბლოხინი და მისი თანაშემწეები მომავალი შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებიან. აქვე დავძენ, რომ უკრაინის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ხელშეუხებელი დარჩება — მათი შეცვლის არანაირი საბაბი არ გაგვაჩნია“ — განაცხადა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრ ბანდურკომ.

ილია ნანოგაშვილი

რუსთავის ოლიმპი გაფორმდა

ინგლისი, თბილისი და ფოლადი

„თბილისის“ ბაზაზე რუსთავის „ოლიმპის“ შექმნის იდეას გუშინ წერტილი დაესვა — გაფორმდა უვადო ხელშეკრულება რუსთავის „ოლიმპის“ შექმნის თაობაზე, რომელსაც სამმა მხარემ მოაწერა ხელი — „თბილისმა“, ფირმა „ფოლადმა“ და მავანმა ინგლისელმა ბიზნესმენმა, რომლის წარმომადგენელი კონტრაქტის გაფორმებისას ბადრი ქარქაშაძე იყო. ეს ის ინგლისური მხარეა, წინა სეზონში „ბათუმის“ სპონსორი რომ იყო, ხოლო ფირმა „ფოლადი“ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საქმიანობს. რუსთავის „ოლიმპის“ საკონტროლო პაკეტი „ფოლადის“ და ინგლისელ ბიზნესმენის იქნება.

გუშინ შექმნილი რუსთავის „ოლიმპი“ ახლა შეკრებაზეა გრიგოლეთში, საიდანაც თბილისში 10 ივლისს დაბრუნდება და 15-ში ისევ გრიგოლეთში გაემგზავრება — „ოლიმპი“ აწ უკვე ყოფილი „თბილისის“ და რამდენიმე ექსპათუმელი ფეხბურთელითაა დაკომპლექტებული.

რუსთავის „ოლიმპი“ თბილისში, აკადემია „ოლიმპში“ ივარჯიშებს, საშინაო მატჩებს კი ალბათ რუსთავში გამართავს.

„ოლიმპს“ ნოდარ აკობია გაწვრთნის, გუნდის მიზანი ახალ სეზონში უეფას თასის საგზურის მოპოვება იქნება და საამისოდ ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებასაც აპირებენ.

დავით თავართქილაძე

საფეხბურთო კლუბმა „ვიტ ჯორჯიამ“ უეფაში გააგზავნა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც უეფას თასის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას...

მეკარეები: 1. გრიგოლ ბედიაშვილი, 12. შოთა ღურბელეიშვილი, 25. ადიკ მიქაბერიძე;
მცველები: 2. დავით იმედაშვილი, 3. დავით ლომაია, 14. ლაშა ჯაფარიძე, 15. თეიმურაზ ლონღაძე, 20. პაატა დათუნაიშვილი, 21. ოლეგ გველესიანი, 28. ალექსანდრე კვახაძე, 29. გურამ ადამაძე;
ნახევარმცველები: 5. რადიონ ცხომარია, 6. გიორგი ფეიქრიშვილი, 7. ლუკა რაზმაძე, 17. გიორგი კვაღინაძე, 18. დავით დიღმელაშვილი, 19. გიორგი მელქაძე, 26. გიორგი დათუნაიშვილი, 30. რევაზ წულაძე;
თავდამსხმელები: 8. ვასილ ღუჭაშვილი, 9. ნიკოლოზ გელაშვილი, 10. გიორგი ბერიაშვილი, 11. ზაზა სახოკია, 24. ირაკლი კლიმიაშვილი, 27. გიგა ბეჭვაია.

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

GFF

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-ჯგუფში გასანევრიანებელი აპლიკაცია

სახელი: .....
გვარი: .....
დაბადების თარიღი: .....
ელფოსტა: .....
ელ-ფოსტა: .....

სარგებელი

საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი

რუსული პრემიერლიგა განახლდა და გოგიტა გოგუაც მყის გამოირჩა — მისმა ნალჩიკის „სპარტაკმა“ შინ „როსტოვს“ 3:1 მოუგო და სპარტაკელთაგან ერთი გოლი გოგუამ გაიტანა. გოგიტას პირველ რიგში ამად შევეხმიანეთ ნალჩიკში...

მართლაც საუკეთესო სეზონს ვთამაშობ

გოგუა უკვე თავდამსხმელია

— მეტოქის საჯარიმო მოედნის კუთხესთან დაიდო ჯარიმა. ბურთის შორეულ კუთხეში გაგზავნა ჩავიფიქრე და ასეც გამოვიდა.

— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ჯარიმებს არ ურტყამდი...

— იმიტომ, რომ მანდ ამას არ მანდობდნენ, აქ კი „სპარტაკის“ ორი-სამი ფეხბურთელი ყოველ ვარჯიშზე ნახევარი საათი ვმუშაობთ საჯარიმოების დარტყმაზე.

— „როსტოვთან“ რა პოზიციაზე ითამაშე?

— უკანდაწეულ მარცხენა თავდამსხმელად — ამ პოზიციაზე „სპარტაკში“ უკვე მესამედ ვითამაშე. რუსეთის პრემიერლიგაში შესვენება რომ იყო, ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში ცენტრფორვარდადაც კი ვითამაშე, ერთხელ მარჯვენა მცველადაც. მოკლედ, კლუბში ხშირად მიცვლიან ამპლუას, მაგრამ ეს დიდად არ მანაღვლებს, მთავარია, ახლა კარგ ფორმაში ვარ.

— რუსული პრემიერლიგის ზედა სამეულში ხართ — რა არის გუნდის მიზანი მიმდინარე სეზონში?

— ხუთეული. ლიდერებში ყოფნა კი, უბრალოდ, სურვილია.

— რატომ, რუსეთის საუკეთესო კლუბებს მკვეთრად ჩამორჩებით?

— თამაშით და კლასით რუსეთში არავის ჩამოვუვარდებით, ფინანსურად კი ჩვენსა და რუსეთის სახელიან გუნდებს შორის მართლაც დიდი სხვაობაა.

— „სპარტაკში“ „ხიმკიდან“ იჯარით ხარ სეზონის ბოლომდე — მერე რას აპირებ?

— შემოთავაზებები უკვე არის, მაგრამ ახლა დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. „სპარტაკში“ „ხიმკიდან“ კი მოვედი, მაგრამ ჩემი ტრანსფერი „ხიმკის“ კი არა, მის ყოფილ პრეზიდენტ ანდრეი ჩერვიჩენკოს ეკუთვნის.

— ეროვნულ ნაკრებში შენს ბოლოდროინდელ თამაშზე რას იტყოდი?

— პარაგვაისთან მატჩისთვის ნაკრების ყველა ფეხბურთელი შვებულებაში იყო და ეს გასათვალისწინებელია. პარაგვაისთან ურიგოდ არ გვითამაშია, თუმც მთავარი შედეგია — არ უნდა ვიყოთ იმით კმაყოფილნი, რომ წაგების მიუხედავად, ცუდად არ გვითამაშია.

— ევროშესარჩევ ციკლში ჩვენი ორი მეტოქე ხვალ ერთმანეთს მსოფლიო თასის ფინალში ხვდება...

— ზოგისთვის წარმოუდგენელია, რომ ჩვენ იტალიასთან და საფრანგეთთან წარმატებით თამაშს შევძლებთ, თუმც მთავარი ალბათ ის იქნება, გულშემატკივარი არ გავაწბილოთ და თავი ყველას კარგი თამაშით დავამახსოვროთ.

— რუსეთის პრემიერლიგაში მართლაც კარგად წაგვიდა თამაში — მიგაჩნია, რომ კარიერაში საუკეთესო სეზონი გაქვს?

— ეგრეა, ჯერჯერობით საუკეთესო სეზონს ვთამაშობ, ყველაფერი ხუთიანზეა და ასეც გავაგრძელებ.

დავით თავართქილაძე

მუჯირი ტრავმიანობს, ასათიანს შეუშალეს

რუსეთის პრემიერლიგას არდადეგები დაუმთავრდა — მეათე ტურის მატჩები გაიმართა და გოგიტა გოგუას პირველი პრემიერლიგური გოლიც ვნახეთ.

გოგუასთან ინტერვიუს უკვე წაიკითხავდით, აქ კი სხვა მატჩებზე ვთქვათ. მოსკოვის „ლოკომოტივს“ ფეხი დაუცდა და შინ „სატურნს“ უგოლოდ გაეყარა. მალხაზ ასათიანმა სრულად ითამაშა, ერთხელ კი საგოლე შანსიც ჰქონდა, მაგრამ დარტყმისას მცველმა დაუფარა.

და კიდევ, „ლოკომოტივის“ დმიტრი ლოსკოვმა პენალტი ვერ გამოიყენა. რკინიგზელები 15 ქულით მეხუთე ადგილზე არიან.

„თანაბარი თამაში იყო. მომენტები გვქონდა, თუმცა ბოლო წუთზე „სატურნსაც“ შეეძლო მოგება. არა უშავს, მომდევნო თამაშებში დავლაგდებით“ — ასეთი იყო მალხაზ ასათიანის კომენტარი.

დავით მუჯირის „კრილიამ“ სტუმრად 2:3 წააგო „ლუჩ ენერგიასთან“. „მუმუს“ მცირე ტრავმა აწუხებს, რის გამოც ეს შეხვედრა გამოტოვა. ვლადივოსტოკელთა მეკარე გიორგი ლომაიამ კი დუბლებში ითამაშა. „ლუჩ ენერგია“ 11 ქულით მეთერთმეტე საფეხურზეა, „კრილიას“ კი, „ლოკომოტივის“ დარად, 15 ქულა აქვს.

ილია ნანოგაჩვილი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ყვირილი, ხედვა, ქცევა, ქომაგობა, სიხარული და სინანული — იქ ყველაფერი ნაღდია...



ჩეხეთში პირველად ორი წლის წინ გახლდით — მაშინაც „ამერის“ შეკრებაზე — და მეორედ ჩასულს შეცვლილი ბევრიც არაფერი დამხვდა. თუმცა ერთი დეტალი მაინც გამოარჩევდა ამ ორ ვიზიტს: მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლის მონაწილე ჩეხეთის ნაკრებიც იყო.

თუმცა ორიოდ სიტყვით სტამბოლზეც მოგახსენებთ, სადაც თავდაპირველად ჩავედით და იქიდან გავემგზავრეთ პრაღაში.

სტამბოლის ქუჩები სავსეა დროშებით. ორ კორპუსს შორის, მეექვსე-მეშვიდე სართულებზე თოკები აქვთ გაბმული და იმაზეა გამოკიდებული უზარმაზარი დროშები. ამ დროშების მიხედვით იოლად შეგიძლიათ გაიგოთ, ვის გულშემატკივართა .უბანში მოხვდით. ოღონდაც სტამბოლი არ არის თბილისი და იქ გულშემატკივრობაც სხვანაირი, უფრო ნაღდია — იქ თავისიანებს გულშემატკივრობენ, „გალათასარაის“ და „ფენერბაჰჩეს“. დროშებიც, რომლებზეც მოგახსენეთ, ამ კლუბებისაა. უცხოტომელთა დროშების შეკერვაზე თურქები არ იხარჯებიან.

სტამბოლში ჩასულები ერთ-ერთ სასტუმროში წაგვიყვანეს, სადაც ვისაუზმეთ. იმ სასტუმროზე მეორე სასტუმროც იყო მიდგმული. უცნაური ფორმა ჰქონდა, გრძელი და საოცრად ვიწრო იყო. ფათიჰ თერიმის საკუთრება აღმოჩნდა — ხუთ მილიონ დოლარად უყიდია.

მსოფლიოს ჩემპიონატის გულისცემა კი, ცხადია, პრაღაში უფრო იგრძნობოდა. გასაკვირია? ჩეხეთი მუნდიალის მონაწილე იყო, თურქეთი კი კვალიფიკაციაში ჩაიკარგა.

ქალაქში სარეკლამო ბანერები ორი სახისა ვნახე. ერთი: ხალხს რომ ახსენებდა, მსოფლიოს ჩემპიონატიაო, თასი ეხატა და სათანადო წარწერაც ჰქონდა. ამ ბანერთა საჭიროება, რაღა დავმალო და, ვერ გავიგე. იქვე, ყურის ძირში, მსოფლის ჩემპიონატი რომ მიდიოდა, რა შეხსენება უნდოდა.

მეორე ტიპის ბანერები კი კონკრეტული შინაარსისა იყო: ჩეხეთის ნაკრების ფეხბურთელები სხვადასხვა ნაწარმს უკეთებდნენ რეკლამას.

ეგებ ვცდები, მაგრამ რაც ვნახე, სარეკლამო ამბავში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი პეტრ ჩეხი იყო. არც ეს უნდა იყოს გასაკვირი: ერთი რომ, უპოპულარეს კლუბში თამაშობს, მეორე, მისი გვარი ქვეყნის სახელს ერითმება და მესამეც, პირველი ნომერია. ერთი სიტყვით, პეტერ ჩეხი ხან რას სვამდა, ხან რას ჭამდა — ცხადია, ბანერებზე...

პრაღის ცენტრალურ ქუჩაზე იდგა ბურთის ფორმის ფარდული, სადაც ყველა მუნდიალის მონაწილე ყველა იმ გუნდის მაისურები იყიდებოდა, რომელთაც ადიდასი მოსავდა. ფასებს კი ნუ იკითხავთ.

პატარა ჩეხურ ქალაქ რუდნიცეში ვუყურე იტალია — ჩეხეთს. ხოლო როგორი მოლოდინი და იმედი ჰქონდათ ჩეხებს ამ მატჩისა, ვფიქრობ, ამ ამბიდან გამოჩნდება: თამაშის დღეს ნასადილევს ჩვენმა ფეხბურთელებმა რომ დაიძინეს, უცებ დრელების ხმაური ატყდა. ჩვენს სართულზე მუშებს ჟალუზების დამონტაჟება მაინცდამაინც წყნარი საათის დროს მოუნდათ.

რა თქმა უნდა, მასპინძლებთან გავაპროტესტეთ. ბაზის დირექტორმა კი, ყოველთვის ყველაფერზე თავს რომ გვიქნევდა, ხელები გაშალა, 5 საათზე ჩეხეთი — იტალიაა და იქამდე თუ არ მორჩნენ, მერე არც ერთი მუშა არ გამიჩერდებაო.

და როგორ შეეგუვნენ ჩეხები მარცხს? როგორც ევროპის ლამის ყველაზე მშვიდი ხალხისგან იყო მოსალოდნელი — მშვიდი სინანულით.

ჩვენი ბაზის შორიახლოს პიონერთა ბანაკისმაგვარი დაწესებულება იყო, სადაც გერმანელი მოზარდები ისვენებდნენ. გერმანია — არგენტინის სანახავად ბარში რომ შევედი, იქ დამხვდნენ და ალალად შემშურდა, რაც ვნახე.

ისხდნენ და ხან ოხრავდნენ, ხან მხიარულად შესძახებდნენ ხოლმე დოიჩლანდს. სხვათა შორის, ეკრანზე კლინსმანი რომ გამოჩნდებოდა, ტაშს არ იშურებდნენ.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებულია და, ბარში ჩეხი ბავშვები შემოლაგდნენ. ხედავენ, რომ გერმანელები თავისიანებს ქომაგობენ, ამათი ჩეხები კი უკვე სახლში არიან. მოკლედ, გერმანელების გასაბრაზებლად არგენტინა, არგენტინას ძახილი დაიწყეს მელოდიურად. ისე კი, არგენტინა, ცხადია, საერთოდ არ ანაღვლებდათ.

დარწმუნებული ვარ, ქართველი მოზარდების დიდი ნაწილი, უცხოელის გასაბრაზებლად დაძახილ მეტოქის სახელს ჩხუბის საბაბად გამოიყენებდა. გერმანელებმა კი რა, აი, ჰქნეს: ოცამდე ბავშვმა ერთხმად რომელიღაც გერმანული მარში წამოიწყო და ბოლოს ომახიანი დოიჩლანდიც დასძახა.

დუელი აშკარად გერმანელების გამარჯვებით დასრულდა და ნაწყენიც არავინ დარჩენილა.

ისე კი, რაც მართლა ძალიან მაგარი იყო, ტელევიზიაა. უფრო სწორად, ის, თუ როგორ აშუქებდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობას.

არ ყოფილა არც ერთი ჩართვა ტოტალიზატორიდან თუ სხვა დაწესებულებიდან. გაუთავებლად არ ამცნობდნენ მაყურებლებს, თუ რომელი ცნობილი პიროვნება ვის გულშემატკივრობს. არ მომისმენია არც ერთი ვივ ლა ფრანს, ფორცა იტალია, ქამონ ინგლანდ და მისთანები.

სამაგიეროდ, იყო: რეპორტაჟები ნაკრებთა ვარჯიშებიდან; მატჩების შესვენებისას პირველი ტაიმის საკვანძო მომენტების პროფესიული გარჩევა, აჩერებდნენ კადრს, ეკრანზე ისრებით იხატებოდა შეტევის გაგრძელების საუკეთესო მიმართულება, მერე კი გვახსენებდნენ, რეალურად როგორ გაგრძელდა შეტევა. ანდა, კადრს ამოწევდნენ ხოლმე და ძალიან ახლოდან გვიჩვენებდნენ, რონალდინიო თუ ზიდანი როგორ ყონგლიორობდნენ ბურთით.

ამ ყველაფერს კი ძველ ჩეხ ვარსკვლავთა კომენტარები ახლდა.

ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო საყურებელი იყო. მხოლოდ იმაზე მწყდება გული, ჩვენ ტოტალიზატორებიდან ჩართვებს რომ ვერ გავცდით. სტუდიაში დამრეკავ გულშემატკივრებს კი, როგორც წესი, არაფერი აქვთ სათქმელი იმის გარდა, თუ ვის გულშემატკივრობენ, რაც სხვა მაყურებლისთვის საინტერესო არ არის.

ეგებ, მომდევნო ევროპის ჩემპიონატისთვის მოვახერხოთ?

გიორგი დარჯანია

ჩიხურა მეშაძრეს თან დატკბა

საჩხერის „ჩიხურა“ დღეს შეკრებაზე გრიგოლეთში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გამართავს. მანამდე კი ხვიჩა ქასრაშვილის გუნდი აგარაში ესტუმრა პირველლიგელ „მეშაქრეს“ და 1:0 მოუგო. გოლი მე-3 წუთზე ლევან სანიკიძემ გაიტანა გიორგი მიქაძის პასით.

„ჩიხურამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *მამალაძე, მემარნიშვილი, ს. ბურნაძე, ბეგლარ თედორაძე. ლ. მერებაშვილი, მესხი, სანიკიძე, მარგალიტაძე, ჩომახიძე, სულთანიშვილი, მიქაძე.* შეცვლაზე შეავიდნენ ბრეგვაძე, ვაშაკიძე, ხაჭიპერაძე, თაგბერიძე და სტეფანიშვილი.

გეორ და გია: ქართული ღვინო მართლა კარგია

ბრაზილიელები ოლიმპიურ ლიცენზიას გაისამდე გვპირდებიან

— ძირითად ბადეში ზედიზედ ორ მოგებას და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ვერ ახერხებთ. თანაც გუშინწინ ბრაზილიელებთან ფრანკოსთან და კუნიასთან უკვე მეორედ წააგეთ. თვლით, რომ ძირითად ბადეში მოხვედრა და სარეიტინგო ქულების ასე მოგროვება თქვენი მაქსიმუმია?

— არანაირად, უბრალოდ, ამ ეტაპზე ჩემს მეწყვილეს რენატოს მხრის ტრავმა ჰქონდა და ფაქტობრივად, ცალი ხელით თამაშობდა. ძალიან უჭირდა ნახტომის გაკეთება და ბურთის მიღება. ფრანკო და კუნია ჩვენი მეგობრები არიან, სულ ერთად ვართ, ერთად დავდივართ ეტაპიდან ეტაპზე და ჩვენი სუსტი წერტილები ზედმიწევნით იციან. მათ კარგად გამოიყენეს რენატოს ტრავმა და ვთვლი, რომ დამსახურებულად მოიგეს. იმედი გვქონდა, რენატოს მხარი დღეს უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, თუმც თამამად ვიტყვი, რომ დღეს თავსაც და ტკივილსაც აჯობა და ბოლომდე იბრძოლა. თანაც ეს ჩვენი დებიუტია მსოფლიო ტურებზე და ევროპაში პირველად ვმოგზაურობთ. ასე რომ, ცოტა დრო გვჭირდება აქაურობასთან შესაგუებლად.

— გასაგებია, რომ მსოფლიო ტურებზე დებიუტი გაქვთ, მაგრამ რაც აქამდე ითამაშეთ, შესაძლებელი იყო მეტი ქულის დაგროვება?

— ალბათ კი... საერთოდ ძნელია პირველივე სეზონში რაც შეგიძლია, ის რომ ითამაშო. მე და რენატო, უკაცრავად გეორი, შეთამაშებული კი ვართ, მაგრამ მსოფლიოს ტურებზე სტაბილურად და, რაც მთავარია, საჩემპიონოდ თამაშს ჯერ ვერ ვახერხებთ. თანაც ყოველ მეორე-მესამე დღეს კონტინენტიდან კონტინენტზე გადაფრენა-გადმოფრენა გვიწევს, ევროპაში მოგზაურობაც დამღლელია. ამას გარდა ჩვენ შეჩვეულნი ვართ სეტის

ორდღიანი გამოდგა ქართულპასპორტიანი ბრაზილიელების რენატოს და ჟორჟის ფრენბურთობა მარსელის ქვიშნარში. ძირითად ბადეში მოხვედრილმა ჩვენმა დუეტმა ტურნირის პირველ დღეს მოგება-წაგებას გუშინ კვლავ მარცხი მიაყოლა და ტურნირს გამოეთიშა. შეგახსენებთ, ქართულად გეორ-გიად მონათლული ბრაზილიელები მსოფლიო თასის ეტაპებზე თამაშობენ და სარეიტანგო ქულების გროვება-გროვებით

მსოფლიო ტურზე: რენატო, მწვრთნელი ჟაჟა, ლევან ახვლედიანი, ფიზმომზადების მწვრთნელი როსინი და ჟორჟი

თვრამეტ ქულამდე თამაშს. ასეა ბრაზილიაში, ევროპაში კი სეტი ოცდაერთამდეა. გასათვალისწინებელია, რომ ბრაზილიაში ყოველთვის „პენალტის“ ფირმის ბურთით ვთამაშობდით, ტურებზე კი „მიკასას“ ბურთებია და მათ შორის საგრძნობი განსხვავებაა. ერთი სიტყვით, საზაფხულო ტურები უფრო აკლიმატიზაციისთვის და შეგუებისთვის უნდა გამოვიყენოთ, შემოდგომიდან კი ჩვენი მაქსიმუმი უნდა ვაჩვენოთ. მთავარი ტური სექტემბერში გვიწევს, მსოფლიო ეტაპი ბრაზილიურ ვიტორიაშია. შინაურ გარემოში ვიქნებით და მაქსიმალური ქულები სწორედ იქ უნდა მოვაგროვოთ.

— თქვით, რომ საზაფხულო ეტაპებს აკლიმატიზაციისთვის იყენებთ. პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებისთვის დრო გეყოფათ?

— საშინელი ტრავმები უნდა დაგვმართოს, ლიცენზისთვის რომ ვერ ვიბრძოლოთ. ახლა რეიტინგში 31-ე ადგილზე ვართ. ჩვენი მთავარი მიზანია, ოცდაოთხ საუკეთესო წყვილში მოვხვდეთ, რაც პრაქტიკულად ოლიმპიადის ლიცენზიას იძლევა. პეკინის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას ცდილობენ. გუშინ ჩვენები მარსელის ეტაპზე პორტუგალიელებთან, პედროსასთან და როსასთან, ერთსაათიან მატჩში 1:2 წააგეს. რაკი, ძირითად ბადეში ორ მარცხს არავინ გაპატიებს, გეორ-გიამ მარსელური ვოიაჟი იქვე დაასრულა. გუშინ მარსელის ერთ-ერთ სასტუმროში ასაბარგებლად გამზადებულ ჟორჟის იგივე გიას დავუკავშირდით და ეს ინტერვიუ ჩამოვართვით

ვფიქრობთ, გაისამდე ეს პრობლემა გადაჭრილი გვექნება. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ის ხალხი გავაწბილოთ, ვინც გვენდო და საქართველოს პასპორტი ავანსად მოგვცა. მათი ნდობის გამართლება ჩვენთვის ოლიმპიურ ლიცენზიაზე მეტს ნიშნავს.

— ერთიც უნდა გკითხოთ. ქართული მეტსახელები მოგწონთ?

— ძალიან. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი მოგვიყვა კონკურსის შესახებ და ბევრიც ვისაუბრეთ. გეორ და გიას საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, პირიქით, ვფიქრობთ, რომ ყველაზე მაგარი მეტსახელები გვაქვს. საქართველოში გაისად ჩამოვალთ — ჩვენი თვალით ვნახავთ ამ ლამაზ ქვეყანას. ლევან ახვლედიანი სულ გვიყვება საქართველოს შესახებ, თქვენს კულტურასა და სუფრის წესს გვაცნობს. ნორვეგიაში რომ ვიყავით, ქართული სუფრა გაშალა და სადღეგრძელოები გვასწავლა. ძალიან კარგი ღვინო გაქვთ. მართალია, ჩვენ არ ვსვამთ, მაგრამ დასვენებისას ერთი ორი ყლუპის უფლება მიეცით თავს. ბრაზილიელები რიკარდუ და ემანუელი გეცოდინებათ, ოლიმპიური ჩემპიონები არიან და ათიდან რვა ეტაპს „ისინი იგებენ. ესენი ჩვენთან ერთად დადიან ყველგან და ქართული სუფრის წესებით აღფრთოვანებულები დარჩნენ. სადაც ქართულ დროშას მოჰკრავენ თვალს, ეგრევე იქ არიან. რიკარდუსთან და ემანუელთან ერთად ყოფნა და ვარჯიში ძალიან გვეხმარება, ლევან ახვლედიანის დახმარებით კი ქართული სუფრით ვალში არ ვრჩებით. საერთოდ, სხვა ნებისმიერი ქვეყნის სახელით რომ მეთამაშა, ასეთი მონდომებული ვერ ვიქნებოდი. ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი ახალგაზრდა და მეგობრული კაცია, მასთან ურთიერთობა აკლიმატიზაციას გვიიოლებს.

გაჩო სვანიძე

მედალი? მედალიც იქნება

როცა ჭყივილი ყვირილში გადაიზრდება

გუშინ პალმა დე მალიორკიდან დაბრუნდა საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრები, რომელიც ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში მონაწილეობდა. ამ შეჯიბრებაში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლის თაობაზე, შეძლებისდაგვარად ოპერატიულად ვიუწყებოდით, ახლა კი, თბილისში დაბრუნების შემდეგ, საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე ბართაია უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ესპანური ჩემპიონატის შესახებ

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენს გიორგი გეორქიანზე გკითხავთ, რომელიც პალმა დე მალიორკაში დაშავდა.

— გიორგის პირველსავე ვარჯიშზე მხარი დაუშავდა. ტკივილის მიუხედავად, ჭოლა ჭანტურიასთან ერთად 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში თორმეტ უძლიერესში მოხვდა, რაც ფინალში გასვლის საშუალებას იძლეოდა, გადამწყვეტ ბრძოლებში კი ჩვენი წყვილი მეათე ადგილზე გავიდა. ახლა გეორქიანი იმკურნალებს, ტრავმას მოიშუშებს და მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობისთვის მოემზადება, რომელიც თვენახევარში მალაიზიაში გაიმართება.

— თქვენი შვილი, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ბართაია, როცა ესპანეთში ტელეფონით ვესაუბრეთ, კმაყოფილი ჩანდა ჩვენი სპორტსმენების შედეგებით, მაგრამ საინტერესოა თქვენი, როგორც უფროსი მწვრთნელის აზრიც.

— რა თქმა უნდა, მეც კმაყოფილი ვარ, რადგან მრავალწლიანი ჩავარდნების შემდეგ ჩვენი სპორტსმენები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. თუნდაც შოთა კორახაშვილი გავიხსენოთ. მან მეტრიანი ტრამპლინიდან მეცხრე ადგილი დაიკავა, კოშკზე კი ფინალში მეხუთე შედეგით შევიდა, საბოლოოდ კი მეექვსე იყო. ეს ჩვენთვის წინგადადგმული ნაბიჯია და გარჯა დაგვიფასეს კიდეც, როცა ირაკლი „წყალში ხტომის რეგიონალური განვითარებისთვის“ დაჯილდოვეს, ასეთი პატივი კი მხოლოდ სამ კაცს ხვდა.

— რამ განაპირობა ჩვენი გუნდის წინასვლა?

— წელიწადნახევარია, რაც განახლებულ ვაკის აუზში ვვარჯიშობთ. იქ ვარჯიშისთვის ძალიან კარგი პირობები შეგვიქმნეს. გვიყიდეს და დაგვიმონტაჟეს ხუთი ახალი თანამედროვე ტრამპლინი. შეგვიძინეს ორი ისეთი ბრწყინვალე ბატუტი, რომლებიც თავად ბატუტზე მხტომელებსაც კი შეშურდებათ. კიდევ ბევრი პრობლემა მოგვიგვარეს. ასე რომ, პირობები გვაქვს და მეტის მისაღწევად დროა საჭირო.

— როგორც ვიცით, თქვენ ესპანეთში მსაჯად იყავით მიწვეული და კორახაშვილის ცოტა ხომ არ წაეხმარეთ?

— მე მართლაც მომიწია კორახაშვილის კოშკზე მსაჯობა, დანარჩენ შემთხვევაში კი იქ მომიხდა არბიტრობა, სადაც ჩვენები არ გამოდიოდნენ.

ცხადია, კორახაშვილისადმი ჩემი დახმარება მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ იგი სხვებმა ველარ დაჩაგრეს. მეორეს მხრივ, მსაჯობა მიკრძალავდა სპორტსმენებთან მიახლოვებას და რჩევა-დარიგების მიცემას. ამ პირველობაზე სპორტსმენებიანად ხუთკაციანი დელეგაციით ჩავედით. შეძლებისდაგვარად, გუნდში მწვრთნელებიც ჩვენ ვიყავით, მსაჯებიც, ექიმებიც, მასაჟისტებიც და ხელმძღვანელებიც. არადა, სხვა გუნდებს თითო დისციპლინაში ორ-ორი, ზოგსაც სამ-სამი სპორტსმენი ჰყავდათ.

— და როგორი იყო ამ ვეება დელეგაციების მონაგარი?

— უკრაინამ და რუსეთმა ხუთ-ხუთი ოქროს მედალი მოიპოვეს, თუმცა უკრაინამ გუნდურ პირველობაში მაინც იმარჯვა. მასპინძლობისგან ჩემპიონი მხოლოდ ერთი გახდა; თითო ვერცხლის მედალი მოიპოვეს გერმანელებმა და იტალიელებმა. ეს იყო და ეს, დანარჩენი დიდი გუნდები უმედლოდ დარჩნენ.

წარმოიდგინეთ, როგორ გულშემატკივრობდნენ ამ 30-კაციანი დელეგაციების წევრები თავიანთ სპორტსმენებს, ჩვენ ჭყივილი კი „მიდი ჭოლა, მიდი შოთა!“ აღარავის ესმოდა.

ასე კი იყო და უმედლოდ დავრჩით, მაგრამ პერსპექტივა ნამდვილად არის და ამ ბიჭებს სამომავლო ძალუძთ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა.

ავთანდილ ბუკვიშელი

ქვეღი დევიზი: უკეთ, ვიდრე შარშან

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ოთხკაციანი ნაკრები ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიდან ერთი ვერცხლით დაბრუნდა, ბერძენ-რომაელთა სრული გუნდი კი ხალიჩაზე დღეს-ხვალ გავა. უნგრეთის ქალაქ სობმატჰეიში გუშინ 55, 66, 84 და +120 კილოგრამიანი მოჭიდავეები სასწორზე შედგნენ და სადღეისოდ მოემზადნენ. ნაკრების თავკაცმა, ვლადიმერ ადეიშვილმა, ამ წონებში მინდია ოჯახიშვილი, ილია გულბათაშვილი, სერგო ნინუა და დიმიტრი ჯავახიშვილი იახლა, ოთხივე დებიუტანტია.

მთლიანობაში, ნაკრებს შარშანდელი შემადგენლობიდან გუნდს მხოლოდ ლაშა გოგიტაძე (50) შემორჩა. იგი საჭიდაოდ ხვალ გავა კახა მექვაბიშვილთან (60 კგ), ზაზა შავაძესთან (74 კგ) და გენადი ხელაიასთან (96 კგ) ერთად.

განახლებული შემადგენლობის მიუხედავად, ადეიშვილი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი წინა პირველობაზე უკეთეს შედეგს აჩვენებს. შარშან ბერძენ-რომაელებმა ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ოთარ მაღლაკელიძე

7 ქულა და მე-7 ადგილი

გიორგი ყაჭეიშვილი

ფილადელფიაში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი World Open-ის ტურნირი დასრულდა. შეჯიბრი შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა და 7 ქულით ამერიკელმა გატა კამსკიმ მოიგო, რომელმაც საპრიზო 40 ათასი დოლარიც ჩაიჯიბა. ტურნირის მოგება ქართველ დიდოსტატ გიორგი ყაჭეიშვილსაც შეეძლო. კამსკის მსგავსად, მანაც 7 ქულა დააგროვა, თუმც შემდეგ დამატებით ბლიც-პარტიებში ველარ იყოჩაღა და საბოლოოდ მეშვიდეობას დასჯერდა. ფილადელფიაში კიდევ ორმა ქართველმა ითამაშა — ზვიად იზორიამ და მერაბ გაგუნაშვილმა. იზორია 6,5 ქულით მეთოთხმეტე ადგილზე გავიდა, გაგუნაშვილი კი 6 ქულით — ოცდამეშვიდეზე.

ლაშა გეგეჭკორი

ხარი ბულად გადაიქცა



ტაისონ ჩანდლერი

მომავალ სეზონს ლონიერი შემადგენლობით და ამბიციებმატებული ხვდება „ჩიკაგო ბულზი". ამას წინათ კლუბის ბოსებმა 4 წლით და 60 მილიონად დაიბეგეს ლიგის უძლიერესი დამცველი ბენ ვოლესი და ფეხმარდ უკანახაზელებს ფარქვეშ ეს დეკვით კაციც შეაშველეს. მაგრამ ამით არ ამოწურა მომავალი სეზონისთვის კლუბის სამზადისი. ვოლესის შემატებიდან მცირე ხანში „ნიუ ორლეანთან" საქმე გაჩარხეს და 211-სანტიმეტრიან ფორვარდ-ცენტრ ტაისონ ჩანდლერის ნაცვლად ორი კარგი მოთამაშე შემატეს „ბულზის" სათადარიგოთა სკამს — ვეტერანი მეფარე ფიჯეი ბრაუნი და ყმაწვილი მოიერიშე ჯეიარ სმიტი. ბრაუნი ვოლესს შეეხიდება ფარქვეშ და ყოველ თამაშში საშუალოდ 10-15 წუთით დასვენებს. პერსპექტიული მოთამაშეა სმიტიც.

გაცვლით კმაყოფილი ჩანდა ჩანდლერიც. ვოლესის მისვლის შემდეგ მისი სათამაშო დრო გვარიანად შეიკეცებოდა, ახალგაზრდულ და მზარდ „ნიუ ორლეანში" კი ის ხუთეულის წევრად თვლის თავს და ამბობს — „მე შემიძლია, გუნდს პლეი ოფში გასვლაში დავეხმარო. აქ თამაშობს უნიჭიერესი ახალგაზრდა გამთამაშებელი კრის პოლი. ახლახან გუნდმა ორი ვარსკვლავი, პეჯა სტოიაკოვიჩი და ბობი ჯეკსონი შეიმატა და ჩვენ ერთად გადავლახავთ რეგულარული სეზონის ბარიერს — გავალთ პლეი ოფში."

კოტე ყორღია

ასაფა პაუელი: გატლინი მემალეგა



ასაფა პაუელი

მძლეოსნობის გურმანები გემრიელი შეჯიბრის მოლოდინში იფშვნეტენ ხელებს — დღეს პარიზის გარეუბან სენ დენიში, რაღა თქმა უნდა, „სტად დე ფრანსეს" მრავლისმნახველ ბილიკებზე, წლევანდელი ოქროს ლიგის მეორე ეტაპი იმართება და იქ გამოსვლის სურვილი მრავალმა სახელოვანმა მსროლელ-მხტომელ-მორბენალმა დაადასტურა. ცნობილ სახელ-გვართა შორის თვალს და ყურს ყველაზე მეტად ხვდება 100 მეტრზე მსოფლიო რეკორდის თანამფლობელი ასაფა პაუელი.

„ჩემი მიზანი ივივეა: სტარტიდან ფინიშამდე, რაც შეიძლება, სწრაფად ვირბინო — ამბობს იამაიკელი სპრინტერი — ქვეყნის ჩემპიონატის შემდეგ ცოტა გადაღლილი ვიყავი და ამის გამო გამოვტოვე ათენის „სუპერ გრან-პრი" — რომში წასვლა და ძალების აღდგენა გადაეწყვიტე. ახლა კი კარგ ფორმაში ვარ და შევეცდები, მოვიგო. არ ვამბობ, რომ აუცილებლად მოვიგებ, თქვენც იცით, ყველაფერი შეიძლება, მოხდეს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მე ახლაც ჩემსას ვეცდებით."

პაული რეკორდსმენი ვახლავთ, ორჯერ უჩვენებია მანამდე წარმოუდგენელი შედეგი — 9,77 წამი 100 მეტრზე, თუმც კონკურენტებიც გვარიანი ეყოლება პარიზულ სარბენ ბილიკზე — თუნდაც 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კიმ კოლინზი, 200 მეტრზე ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი შონ კროუფორდი და ამავე დისტანციის კიდევ ერთი ქურციკი რონალდ პონონი, თუმც მის კონკურენტთა ამქარს მთავარი კაცი აკლია — 100 მეტრზე მსოფლიოს და ოლიმპიადის მოქმედი ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდის თანამფლობელი ჯასტინ გატლინი და პაუელი ამაზეც საუბრობს — „ნამდვილად ვერ გეტყვით, როდის მომიწევს ჯასტინ გატლინთან გაჯიბრება. როგორც ჩანს, ის გამირბის. მე კი არ ვიმალები, ის იმალება. მაგრამ ერთს გეტყვით, მინდა, მსოფლიოს რეკორდი გავაუმჯობესო, არა იმიტომ, რომ მას გატლინთან ერთად ვფლობ. უბრალოდ, მინდა, უფრო სწრაფად გავირბინო და ვიცი, რომ ადრე თუ გვიან რომელიმე ტურნირზე ჩემსას მივაღწევ."

კოტე ყორღია



AFP ლონდონიდან

უიმბლდონი 2006. ბალახი საპრიზო 10 378 710

პარიზი-ლონდონი: მატარებელი ორისთვის

თიხაა თუ ბალახი, ალარა ჩანს სხვა ხალხი

7 ივლისი

კაცები

ნახევარფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:2 6:0 6:2; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — მარკოს ბაღდატისი (18, კვიპროსი) 6:1 7:5 6:3

გუშინ ალბათ საბოლოოდ დამტკიცდა ის ფაქტი, რომ თანამედროვე ჩოგბურთში ორხელისუფლებიანობა სუფევს — როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი ერთმანეთში არკვევენ ტურნირ-ტიტულების ბედს, დანარჩენებს კი სტატისტების როლით უწევთ დაკმაყოფილება.

უიმბლდონის ნახევარფინალებმა და აქ ფედერერისა და ნადალის უადვილესმა გამარჯვებებმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა, თუ რა უფსკრულია ამ ორ ჩოგბურთელსა და დანარჩენებს შორის.

77 წუთი, მხოლოდ 4 წაგებული გემი და ფანტასტიური თამაში — აი, ასე მოუგო და არ დაინდო „მხიარულმა როჯერმა" თავის მე-13 უიმბლდონზე მოთამაშე იონას ბიორკმანი.

შვეიცარიელი კი რეკორდებს ერთი-მეორეს მიყოლებით ამხობს — უიმბლდონის ნახევარფინალში ასე „მწარედ" არავის მოუგია 1904 წლის შემდეგ; ერთი მოთამაშის მეორეზე ამდენად დიდი უპირატესობა რომელიმე სლემტურნირის ნახევარფინალში ბოლოს 1978 წელს დაფიქსირდა, როცა ბიორნ ბორგმა „როლან გაროსზე" მექსიკელ რამირესს 6:0 6:1 6:0-გადაუარა; ასე მცირე დროში კი ამდენად მნიშვნელოვანი მატჩის მოგება ბოლოს უიმბლდონზე ილია ნასტასემ შეძლო, როდესაც მანუელ ორანტესს 74 წუთში მოუღო ბოლო.

და ბოლოს, ფედერერი პირველი ჩოგბურთელია 1976 წლის შემდეგ, ვისაც შეუძლია უიმბლდონის სეტწაუგებლად მოგება. 30 წლის წინ ეს ბიორნ ბორგმა მოახერხა, შვეიცარიელს კი მშვენიერი შანსი აქვს, რომ ლეგენდარულ შვედის კიდევ ერთი რეკორდის თანაზიარი გახდეს.

არც ნადალს გასჭირვებია მაინცდამაინც მარკო ბაღდატისის დამარცხება. ესპანელმა ჯადობიჭმა წმინდად კლასზე მოუგო კვიპროსელს და მარკოსს 9 ბრეიკ პოინტიდან, ერთიც კი არ გამოაყენებინა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, — თუ რობერტ კენდრიკთან მატჩს არ ჩავთვლით, ნადალს ყველაზე მეტად ჩვენებური ირაკლი ლაბაძის დამარცხება გაუჭირდა. ეჰ, რაღა ამ გიემაჟ პირინეელს გადაეყარა, თორემ ირაკლი წლეულს უფრო წინ გასვლას იმსახურებდა და ამას ალბათ მოახერხებდა კიდეც.

თუმც მოვეშვათ ამაზე მარჩიელობას — კვირას ისეთი ფინალი გველის, რომ სხვა რამეზე ფიქრი არ ეგების. ისე კი, ეს ერთგვარი დე ჟავიუ იქნება — ეს ფინალი ხომ ოთხი კვირის წინაც ვნახეთ, ოღონდაც „როლან გაროსზე".

თუმც ამჯერად ჩოგბურთელები განსხვავებულ პოზიციებში იქნებიან — ამჟამად ფედერერია თავის საბატონოში და თუ ნადალს „თიხნარის მეფეს" უწოდებენ, შვეიცარიელი ბალახზე მეფეც არის და იმპერატორიც.

ასე რომ, კვირას უკვე ნადალი აღმოჩნდება იმავე სიტუაციაში, როგორშიც ფედერერი პარიზში იყო. მაშინ შვეიცარიელმა ვერ მოახერხა ამ სიტუაციის თავის სასარგებლოდ შემობრუნება, ვითომ ნადალი შეძლებს? ვნახოთ.

ძახა ლომაშვილი



AFP ლონდონიდან

სამრავალჭიდო ოთხში ორი

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ტანვარჯიშის დარბაზში გუშინ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი „ფედერაციის თასი“ დაიწყო. ტურნირი დღეს დასრულდება. გუშინ კი, საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებების სპორტსმენებმა მედლები მრავალჭიდში, ოთხ ასაკობრივ ჯგუფში გათამაშეს. ორში მასპინძლებმა იმარჯვეს, ორშიც — სტუმრებმა.

ყველაზე პატარებში, 1996 წელს დაბადებულთა შორის, ოქროს მედალი რუსმა იულია ზახაროვამ მოიპოვა. 13-წლამდელებში მარტო ქართველები გამოვიდნენ და საუკეთესო შედეგი ნინო ქურდაძემ აჩვენა. 15-წლამდელებში — უკრაინელმა ელიზავეტა გრიბანოვამ იმარჯვა, ხოლო უფროსებში — თათია დონაძემ. ამ ასაკის სამეულში კიდევ ერთი ქართველი თამარ ვეკუა შევიდა, მაგრამ რუსეთის სახელით. საქართველოს ნაკრების ლიდერი ქეთი ხატიაშვილი კი მედლის გარეშე დარჩა. მცირე ტრავმის გამო მან მხოლოდ ორ სახეობაში — გურზებით და ბაფთით ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა. დღეს მედლები ცალკეულ სახეობებში გათამაშდება და, ქეთი, სავარაუდოდ, იქაც ამ ორ სახეობაში გამოვა.

ფედერაციის თასი. თბილისი. 7-8 ივლისი

მრავალჭიდი

1996-წლიანები

1 იულია ზახაროვა (რუსეთი)
2 მარიამ აფხაზავა (საქართველო)
3 სალომე ბურდილაძე (საქართველო)

1993-წლიანები

1 ნინო ქურდაძე (საქართველო)
2 ნათია ნაკაიძე (საქართველო)
3 მარიამ ჯანტეხი (საქართველო)

1991-1992-წლიანები

1 ელიზავეტა გრიბანოვა (უკრაინა)
2 მეგი ბალახაშვილი (საქართველო)
3 ლეილა შამილოვა (აზერბაიჯანი)

უფროსები

1 თათია დონაძე (საქართველო)
2 ოლია სკუდარნოვა (უკრაინა)
3 თამარ ვეკუა (რუსეთი)

Le Tour France

93-ე ტურ დე ფრანსი. 2006, 1-23 ივლისი

ნორმანდია — ბრეტანი

რენი აბანოა: ბოონენი შემოწმდება

ალბათ, აღარ ღირს იმაზე ლაპარაკი, რომ წლევანდელი „ტურ დე ფრანსი“ დოპინგსკანდალის, ფავორიტების მოკვეთისა და ტრავმების გამო, ერთგვარად დაჩეხილი და თავწაკვეთილია და, აქედან გამომდინარე, ინტერესიც, როგორღაც განელდა. თანაც, საბოლოო გამარჯვებაზე, უკვე ისეთი მრბოლები გამოთქვამენ პრეტენზიას, რომელთა სახელებსაც ბასოს, ულრიხის, ვალვერდეს ყოფნის შემთხვევაში არავინ ახსენებდა. ასე კია, მაგრამ მიმდინარე რბოლას, რასაც ნამდვილად ვერ დავუკარგავთ, ეს არის ინტრიგა და უფრო მეტად კი სპრინტის დიდოსტატთა სიმრავლე.

დიახ, თანამედროვეობის უძლიერესი მრბოლები, ნამდვილი უნივერსალები, ტურზე აღარ არიან. სამაგიეროდ, საფინიშო გარჩევების მოყვარული ხალხის — ხშირად „პეპლებს“ რომ ვეძახით — ნაკლებლობა ნამდვილად იგრძნობა. ეგ კი არა, ტრავმირებულ ალესანდრო პეტაკის თუ არ ჩავთვლით, ფაქტობრივად, ყველა უძლიერესი სპრინტერი საქმეშია და ბარის ეტაპების ბოლო, საფინიშო კილომეტრები ნამდვილად კარგი სანახავია.

რობი მაკივენი, ოსკარ ფრეირე, ტომ ბოონენი, ტორ ჰუსჰოვდი, ერიკ ცაბელი — ესენი ყველანი სპრინტის დიდოსტატები არიან და ჯერჯერობით, სანამ მთები დაწყებულა, სწორედ ისინი არიან ყურადღების ცენტრში.

ასე იყო მეხუთე ეტაპზეც, რომელიც ნორმანდიული ბოვედან დაიწყო და 225 კილომეტრის შემდეგ, უკვე ბრეტანში, კერძოდ კი, კაენში დასრულდა. რბოლამ უაღრესად მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში ჩაიარა. ნორმანდიაში კოკისპირულად წვიმდა, ამ წვიმისა და ნისლის გამო მხედველობის არე მინიმუმამდე იყო დაქვეითებული და იყო იმის ალბათობა, პელტონს ვინმე გვარიანად დასხლტომოდა. ამის მცდელობა ნამდვილად იყო. რვაკაციანი ჯგუფი ველოქარავანს თავიდანვე მოწყდა და სადღაც მეოცე კილომეტრისთვის მათმა უპირატესობამ, თითქმის 13 წუთს უწია. გაქცეულთა სამწუხაროდ, ნელ-ნელა მათი ჯგუფიც დაიშალა და აღებული ტემპის შენარჩუნება ორმაღა შეძლო — ფრანგმა სამუელ დომულენმა და გერმანელმა ბიორნ შროდერმა. ისინი კარგა ხანს იყვნენ სათავეში და გვარიანადაც უსწრებდნენ დანარჩენებს, მაგრამ უკვე ბრეტანისკენ ამინდი გამოსწორდა, პელეტონიც ამუშავდა და, ისევე, როგორც წინა ეტაპებზე, ამჯერადაც ყველაფერი ფინიშზე გაირკვა.

კაენის ქუჩებში ველოსიპედისტები ჯგროდ შევარდნენ და წავიდა უკეთესი საფინიშო პოზიციისთვის ბრძოლა. ამ საქმეში, თითქოს ბელგიური „ქვიკ სტეპის“ მრბოლებმა ივარგეს და თავიანთ ყოჩს, საერთო ჩათვლის ლიდერს, ტომ ბოონენს გაუკაფეს გზა, მაგრამ მსოფლიოს ამჟამინდელმა ჩემპიონმა ეგრეც ვერ მოახერხა ეტაპის მოგება — სულ ბოლო მომენტში ბოონენს მარჯვნიდან წამოეპარა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ესპანელი ოსკარ ფრეირე და მის შეტევას ბელგიელმა ვეღარ უპასუხა.

ფრეირემ წლევანდელ „ტურზე“ პირველი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ბოონენი კვლავაც საერთო ჩათვლის მოწინავეა და „ქვიკ სტეპის“ წევრები იმედოვნებენ, რომ მათ უნივერსალ ლიდერს ძალუძს, მთებშიც შეინარჩუნოს პირველობა.

ვნახოთ, ბოონენის ამბიციებს პირველი სერიოზული გამოცდა დღეს ელის — სენტ გრეგუარიდან რენამდე 52 კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა და ამ ეტაპზე არა მარტო ბოონენი შემოწმდება, არამედ გარკვეულწილად თეორი და შავი გამოჩნდება, ანუ გამოიკვეთება მრბოლთა ის სავარაუდო წრე, რომლის წევრებიც საბოლოო გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

გია მუჯირი

მეხუთე ეტაპი. ბოვე — კაენი. 225 კმ

1. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი რაბობანკი)	5 სთ. 18 წთ. 50 წმ.
2. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	
3. ინაკი საესი (ესპანეთი, ეუსკალტელი)	
4. დავიდ კოპი (გერმანია, გეროლშტაინერი)	
5. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო)	ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	25 სთ. 10 წთ. 51 წმ.
2. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, T-მობაილი)	+13 წმ.
3. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი)	+17 წმ.
4. ჯორჯ ბინკეტი (აშშ, დისქავერი)	+17 წმ.
5. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	+19 წმ.

რენოს ძრავა ოცი ცხენით გაძლავრდა

გასულ კვირას ინდიანაპოლისში, აშშ-ის დიდი პრიზისთვის ბრძოლის შემდეგ მეფორმულეებს ხერხიანად არც კი დაუსვენიათ და ესპანეთში ვარჯიშს შეუდგნენ. თუმც, ასე ვთქვათ, ზომიერ რეჟიმში — წამყვანმა მძღოლებმა მხოლოდ თითო დღე იჯირითეს.

ჩემპიონატის ლიდერმა ფერნანდო ალონსომ „რენოს“ ძრავის ახალი ვერსია გამოსცადა, რომელიც წინაზე თითქმის ოცი ცხენის ძალით ჯანიანია და რომლითაც ნანდო 16 ივლისს ფრანგულ ეტაპზე გამოსვლას აპირებს. ესპანელმა ჩემპიონმა 12 პილოტს შორის მესამე დრო აჩვენა „მაკლარენისა“ და „რენოს“ მეტესტეების პედრო დე ლა როსასა და ჰეიკი კოვალაინენის შემდეგ.

ხერესის ტრეკზე მეორე დღეს გაიქროლა ალონსოს უმთავრესმა სატიტულო კონკურენტმა მიხაელ შუმახერმა, მაგრამ უხეიროდ, რადგან მხოლოდ ორმოციოდე წრის შემოვლა შეძლო საწვავის ტუმბოს გათიშვის გამო. შუმის ავარიამდელი საუკეთესო შედეგი მხოლოდ მეათე იყო — ამჯერადაც უსწრაფეს კოვალაინენს ორი წამით ჩამორჩა.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია კი საკვალიფიკაციო რეგლამენტში ცვლილების შეტანას აპირებს. ამჟამინდელი საპოულე ფორმატი სამი ნაწილისგან შედგება და დასკვნით სერიაში, რომელიც 20 წუთს გრძელდება, ყველაზე სწრაფი ათი მრბოლი დაქრის საუკეთესო სასტარტო პოზიციის მოსაპოვებლად. საერთო აზრით, ეს დრო გაწელილია და კარგი იქნება, თუ მაყურებლის ინტერესის გასაზრდელად ხუთ წუთს მოაკლებენ.

სიახლე უკვე საფრანგეთის დიდი პრიზისას შევა ძალაში, თუ ფედერაციის მსოფლიო საბჭო მხარს დაუჭერს. გამოკითხვა ფაქსით ჩატარდება, რათა სხდომის მოწვევა არ გახდეს საჭირო.



კიდევ ერთი, ამჯერად საბორბლე საკითხი. შეგახსენებთ, ფრანგული „მიშლენი“ მომავალი წლიდან წყვეტს „სამეფო რბოლების“ საბურავებით მომარაგებას. ამდენად, ფედერაცია ტენდერის გამოცხადებას აპირებდა, რომელშიც იაპონურ „ბრიჯსტოუნს“, სავარაუდოდ, კონკურენციას გაუწევდნენ „პირელი“, „გუდიარი“, „კუმო“, „იოკოჰამა“.

მაგრამ რეზინის ომი არ შედგა. ფედერაციის გადაწყვეტილებით, 2008-10 წლებში ფორმულა 1-ის ბოლიდებს „ფეხსაცმლით“ კვლავაც „ბრიჯსტოუნი“ მოამარაგებს. სადღეისოდ, „ბრიჯები“ აცვიათ „ფერარის“ „უილიამსის“, „ტოიოტას“, „მიდლენდისა“ და „სუპერ აგურის“ მანქანებს.

გია ახალაძე

აფრიკამ ქვიშის საათი ამოაბრუნა

AFP ბერლინიდან

AFP ბერლინიდან



AFP ბერლინიდან

ხვალ საღამოს ფიფას ქვიშის საათი ბოლო მარცვლებს ჩამოყრის და ამოაბრუნებენ: მომდევნო ოთხი წელი მეორე მხარეს ჩაყრის ქვიშას და სამხრეთ აფრიკაში ჩამოცლის...

ერთი სიტყვით, მუნდიალი მთავრდება, გაუმარჯოს მუნდიალს, რომელსაც 2010 წელს სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს. მსოფლიოს თასიც, მომდევნო ოთხი წელი საფრანგეთში ან იტალიაში რომ დაიდებს ბინას, 2010-ში ერთი თვით შავი კონტინენტის სამხრეთში ჩაისეირნებს.

გუშინ ბერლინში გამართულ მომდევნო მუნდიალის პრეზენტაციაზე კი თავი მოიწონეს ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა ტაბო მბეკიმ, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა და ბევრმა სხვამაც.

ბოლოს კი ახალი ლოგოს წინ ზანგურადაც იცეკვეს.

AFP ბერლინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია პაპუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge